

შრომა და სოციალური სამართლიანობა

# განათლება ნებისმიერ ფასად

დისტანციური სწავლება: პანდემიის დროს  
მიღებული გამოცდილება საქართველოში

ქეთი სართანია, თორნიკე შევარდნაძე  
ნოემბერი 2022



დისტანციური სწავლებისთვის ოჯახებს მოუწიათ უზრუნველყოთ შვილები მობილური ტელეფონებით ან კომპიუტერებით და უწყვეტი ინტერნეტი. ეს დამატებით ტვირთად დააწვა ოჯახებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ.



იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც რამდენიმე მოსწავლე ჰყავდათ, მაგრამ არ გააჩნდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, მასწავლებლები ცდილობდნენ აკადემიური პროცესის ორგანიზებას ისე, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრების გაკვეთილები ერთმანეთს არ დამთხვეოდა.



იყო დისტანციური სწავლების შემამფოთებელი ფაქტორები, როგორცაა საცხოვრებლის სიმჭიდროვე, ვიწრო პირადი სივრცე, ხმაური, უმცროსი დაძმების დახმარება სწავლაში ან ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა, გათბობის ნაკლებობა და საჭირო სასწავლო მასალების არარსებობა.



# სარჩევი

	<b>ანოტაცია</b>	2
	<b>ძირითადი მიგნებები</b>	3
	<b>მეთოდოლოგია</b>	5
	<b>შესავალი</b>	5
<b>1.</b>	<b>საქართველოს ზოგადი განათლების უთანასწორობის სტრუქტურული ფაქტორების გააზრება</b>	9
1.1	სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	9
1.2	ცხოვრების სტანდარტები	11
1.3	სწავლის დანაკარგები და მისი მიზეზები	13
<b>2.</b>	<b>განათლების პოლიტიკა და მასწავლებლების როლი პანდემიის დროს განხორციელებულ დისტანციურ სწავლებაში</b>	16
2.1	მასწავლებელთა პროფესიული გადაწვა, გამძლეობა და სოლიდარობის ნიშნები პანდემიის დროს	16
2.2	მასწავლებელთა რთული სამუშაო პირობები, გაზრდილი ამოცანები და თვითორგანიზება დისტანციური სწავლების პირობებში	18
<b>3.</b>	<b>კვლევის მიმოხილვა</b>	21
3.1	განათლება – რთული სფერო პანდემიის დროს, ნათია მჭავანაძე	21
3.2	განათლების სისტემის ფუნქციები, ნინო ნიკოლეიშვილი	22
3.3	განათლების უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოში, ლელა გვიშიანი	23
	გამოყენებული ლიტერატურა	26

„რეალობა სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც მათ წარმოუდგენიათ. მოგეხსენებათ, გვყავს მოსწავლეები სოფლებიდან, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ, რადგან ინტერნეტი ან კომპიუტერი არ ჰქონდათ. მახსოვს შემთხვევები, როცა ჩემს მოსწავლეებს ტელეფონზე ვურეკავდი, რომ გაკვეთილზე შემოსულიყვნენ.“

(მასწავლებელი ქობულეთიდან)

„ვფიქრობ, ოთახი რომ მქონდეს, უკეთესად ვისწავლიდი.“  
(მოსწავლე ქუთაისიდან)

## ანოტაცია

საქართველოში ზოგადი განათლება ხასიათდება საყოველთაო უთანასწორობით. გლობალური პანდემიის ფონზე ამ უთანასწორობის პრობლემამ ახალი ფორმა მიიღო. ტექნოლოგიებზე, ინტერნეტზე და სახლიდან სწავლაზე ხელმისაწვდომობის მზარდმა მოთხოვნამ გააძლიერა ოჯახების როლი და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც წინ წამოწია კავშირი ოჯახის შემოსავალს, მშობლების განათლების დონეს, პროფესიულ პრესტიჟსა და ზოგად განათლებაზე მოსწავლეების წვდომას შორის.

საქართველოში, პანდემიის დროს განხორციელებული ზოგადი განათლების საკითხი არ არის სათანადოდ შესწავლილი სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივიდან, რადგან ეს თემა შედარებით ახალია. ეს ართულებს ზოგად განათლებაზე წვდომის, ოჯახის შემოსავლის და მოსწავლთა საერთო აკადემიური მოსწრების ერთმანეთთან დაკავშირებას. რადგან სასწავლო პროცესმა სკოლებიდან მოსწავლეთა სახლებში გადაინაცვლა, მათი საცხოვრებელი გარემო გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი – ის პრაქტიკულად განსაზღვრავს მოსწავლეთა სრულ მონაწილეობას აკადემიურ პროცესში, განათლების ხარისხსა და სწავლის შედეგებს. ზოგადი განათლების სირთულის გამო, სასკოლო გარემოში სწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის უნარებითა და მოსწავლეთა სოციალიზაციით. სასკოლო გარემო იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს თანასწორობის გასაფართოებლად, რადგან განათლებაში თანასწორი მიდგომა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებს აძლევს განათლებაში წარმატების მიღწევის საშუალებას.

ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ერთნაირი პირობები და შესაძლებლობები ზოგადი განათლების მისაღებად, განურჩევლად მათი სოციალური და ეკონომიკური წარმოშობისა, ცხოვრების დონისა და სხვა გარე თუ შიდა ფაქტორებისა. პანდემიისგან წარმოშობილი სოციალური რეალობა მოითხოვს მაკომპენსირებელ პირობებს, რათა შემცირდეს მოსწავლეების წინაშე არსებული დაბრკოლებები და უთანასწორობის გამწვავება.

კვლევა გვიჩვენებს, რომ ზოგადი განათლების უფლების რეალიზება მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ ინსტიტუციურ პრობლემებთან, როგორცაა სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური პირობები და თუნდაც საბინაო პოლიტიკაც.

## ძირითადი მიგნებები

- დისტანციური სწავლებისთვის ოჯახებს მოუწიათ უზრუნველყოთ შვილები მობილური ტელეფონებით ან კომპიუტერებით და უწყვეტი ინტერნეტით. ეს დამატებით ტვირთად დააწვა ოჯახებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ.
- ზოგიერთი გაკვეთილისთვის მობილური ტელეფონი არ იყო საკმარისი და მოსწავლეს დავალების შესასრულებლად კომპიუტერი ან ლეპტოპი სჭირდებოდა. მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან არიან, კიდევ უფრო გაიზარდა ბარიერები განათლებაზე წვდომაზე.
- მოსწავლეებისთვის გაკვეთილები ზოგჯერ არათანმიმდევრული იყო, რადგან მათზე დასასწრებად უწევდათ მშობლების მობილური ტელეფონების გამოყენება ან ლეპტოპის თუ კომპიუტერის გაზიარება ოჯახის სხვა წევრებთან.
- ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება ოჯახებისთვის ფინანსური ტვირთი გახდა.
- საქართველოში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენს და ეს ზოგიერთ მოსწავლეს ხელს უშლის ონლაინ გაკვეთილებში მონაწილეობაში.
- ორ და მეტ შვილიან ოჯახებში იზრდება დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობის ღირებულება. ელექტრონული მოწყობილობების ნაკლებობა ართულებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას. ხშირად ოჯახს უწევს გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი ბავშვები ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ეს წარმოშობს უთანასწორობის ახალ ფორმას ისეთ ოჯახებში, რომლებსაც ჰყავთ ორი ან მეტი მოსწავლე.
- ხაზგასმული იყო დისტანციური სწავლების შემამოფრთხილებელი ფაქტორები, როგორცაა საცხოვრებლის სიმჭიდროვე, ვიწრო პირადი სივრცე, ხმაური, უმცროსი და-ძმების დახმარება სწავლაში ან ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა, გათბობის ნაკლებობა და საჭირო სასწავლო მასალების არარსებობა.
- პრობლემას წარმოადგენდა განათლების სამინისტროს (MES) ოფიციალურ სასწავლო გეგმაზე, ასევე Microsoft Teams-ზე წვდომა, რადგან ზოგიერთი მოსწავლის მოწყობილობას არ ჰქონდა ამ პლატფორმების მხარდაჭერა. გარდა ამისა, საჭირო იყო დიდი მოცულობის ინტერნეტი, რაც დამატებით ფინანსებს უკავშირდებოდა.
- მასწავლებლები არ თვლიან, რომ საგანმანათლებლო პროცესის ან განათლების სისტემის რეფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილე მხარეები არიან. განათლების სისტემისთვის შემუშავებული პოლიტიკა არ შეესაბამება სკოლებში არსებულ რეალობას. სწორედ ამ პოლიტიკამ მასწავლებლები დააშორა საგანმანათლებლო პროცესს.
- გლობალურ პანდემიამდე სკოლები ასრულებდნენ მაკომპენსირებელ როლს დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების მოსწავლეებისთვის, თუმცა ეს ფუნქცია გაუქმდა მას შემდეგ, რაც შემოვიდა პანდემიის რეგულაციები.
- მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს სკოლის რამდენიმე მოვალეობას, მათ შორის იმას, რომ სკოლა ანაცვლებს ოჯახს და მოიცავს ოჯახის ფუნქციების ერთობლიობას. ოჯახის შემდეგ, სკოლა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დაცულ და უსაფრთხო სივრცედ, სადაც მოსწავლეები იღებენ ზრუნვას და ყურადღებას.
- იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც რამდენიმე მოსწავლე ჰყავდათ, მაგრამ არ გააჩნდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, მასწავლებლები ცდილობდნენ აკადემიური პროცესის ორგანიზებას ისე, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრების გაკვეთილები ერთმანეთს არ დამთხვეოდა.
- დისტანციური სწავლების დანერგვის შემდეგ, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დამოუკიდებლად ისწავლეს ინტერნეტისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის გამოყენება. სოციალურ ქსელებში იქმნებოდა ჯგუფები. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ ცოდნას სამუშაო საათებში და შემდეგაც, რაც დამატებით დატვირთვასა და სტრესს იწვევდა.

- ზოგიერთ შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოებებმა და მასწავლებლებმა, ძირითადად საკუთარ ფინანსური რესურსებისა და თავისუფალი დროის ხარჯზე, მოახდინეს რესურსების მობილიზება, რათა მიეწოდებინათ მობილური ინტერნეტი დაბალშემოსავლიანი ოჯახების მოსწავლეებისთვის.
- დისტანციური სწავლების დროს მასწავლებლების სამუშაო პირობები გაუარესდა და სამუშაო დატვირთვა მკვეთრად გაიზარდა.
- ზოგადად, სკოლა ასრულებს მაკომპენსირებელ როლს და, განათლების უზრუნველყოფის გარდა, აკმაყოფილებს მოსწავლეთა კეთილდღეობის ძირითად საჭიროებებს. პანდემიის დროს შეზღუდული მობილობისა და იზოლაციის გამო, მეტისმეტად შემცირდა შესაძლებლობები მოსწავლეებისთვის. უფრო მეტიც, მშობლების გადატვირთული გრაფიკისა და ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო, კიდევ უფრო გაიზარდა სკოლისა და მასწავლებლების როლი სასწავლო პროცესში.

# მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური ჩარჩოს საფუძველზე, დაისვა ორი ძირითადი კითხვა:

1. რა არის სკოლის ძირითადი ფუნქციები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის? შეიცვალა თუ არა ეს ფუნქციები პანდემიის დროს?
2. არსებობს თუ არა კავშირი მოსწავლეებისა და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, გამოვიკვლიეთ მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოცდილება, აღქმა და დამოკიდებულებები, რათა გაგვეჩვენა, როგორი უთანასწორობა არსებობდა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში სოციოლოგიური კუთხით პანდემიის დროს. წინამდებარე კვლევის მიზნების განსაზღვრის მიზნით, განვსაზღვრეთ შემდეგი ამოცანები:

- ზოგადი განათლების სისტემის ანალიზი ფართო სოციალურ კონტექსტში ექსპერტთა ინტერვიუების საშუალებით;
- ზოგადი განათლების გამოწვევების კვლევა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ჯგუფური ინტერვიუების გზით; და
- საკვლევი თემის შესაბამისი ანგარიშებისა და მონაცემების ანალიზი.

კვლევის მიზნების საფუძვლიანად შესასწავლად გამოიყენებოდა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ: სამაგიდო კვლევა, ჯგუფური ინტერვიუები და ექსპერტებთან გასაუბრებები.

- არსებული მონაცემების მიმოხილვის ფარგლებში, შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშები და გამოკითხვები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განათლებასთან დაკავშირებული ინსტიტუციების ანგარიშები და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები. ეს დოკუმენტები ორიენტირებული იყო განათლების სისტემაში არსებული უთანასწორობის პრობლემაზე, განსაკუთრებით პანდემიის დროს.
- კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 სიღრმისეული ინტერვიუ შემდეგი სფეროების ექსპერტებთან: (1) განათლების სფეროს მკვლევარებთან; (2) განათლების ფსიქოლოგიის, სამართლისა და ფილოსოფიის დარგის სპეციალისტებთან; და (3) სხვადასხვა სახელმწიფო საგანმანათლებლო უწყების წარმომადგენლებთან.
- გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფი. ამ ინტერვიუების მიზანი იყო საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული მხარეების გამოცდილების, აღქმისა და დამოკიდებულების შესწავლა.

ცხრილი 1.1.  
ჯგუფური ინტერვიუების დეტალური აღწერა

ჯგუფი #	ობიექტი	სკოლის ადგილმდებარეობა	გაკვეთილები	საგანი / პროფილი	რესპონდენტთა რაოდენობა
1	სკოლის მოსწავლე	თბილისი	11-12		8
2	სკოლის მოსწავლე	ბათუმი	9-10		8
3	სკოლის მოსწავლე	ქობულეთი	10-12		8
4	სკოლის მოსწავლე	კასპი	9-12		7
5	სკოლის მოსწავლე	ქუთაისი	9-11		8
6	სკოლის მოსწავლე	ფარცხანაყანები	10-12		8
7	მასწავლებელი	თბილისი		შერეული	6
8	მასწავლებელი	ქუთაისი		შერეული	7
9	მასწავლებელი	ქობულეთი		შერეული	6
10	მასწავლებელი	კასპი		შერეული	8
11	მასწავლებელი	ფარცხანაყანები		შერეული	7

ფოკუს ჯგუფის ინტერვიუებისთვის სკოლები მაქსიმალური ვარიაციის პრინციპით შეირჩა. აღნიშნული პრინციპი სხვადასხვა გარემოების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღებას შესაძლებელს ხდის ვარიაციის ძირითადი პარამეტრების საფუძველზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ვარიაციის განსხვავებები იყო გეოგრაფიული მდებარეობა და სკოლის ზომა. გეოგრაფიული მდებარეობა დაიყო შემდეგნაირად: დედაქალაქი, დიდი ქალაქი, საშუალო ქალაქი, პატარა ქალაქი და სოფელი. სკოლის ზომა დაიყო ორ ჯგუფად: სკოლები 1-500 მოსწავლით და სკოლები 501 და მეტი მოსწავლით. ვარიაციის მაჩვენებლების განსაზღვრის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ცალკეული სკოლები.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის მარტიდან 2021 წლის აგვისტომდე პერიოდში.

კვლევის შეზღუდვა არის ის, რომ მეთოდოლოგიური ბუნების გამო, იგი არ ითვალისწინებს პანდემიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლას.



## შესავალი

2020 წლის მარტში საქართველოს საჯარო სკოლებში შეწყდა სასწავლო პროცესი. საგაზაფხულო შესვენება, რომელიც 16 მარტს უნდა დაწყებულიყო, ერთი კვირით ადრე, 8 მარტს დაიწყო, 1-ლი აპრილიდან კი სასწავლო პროცესი ოფიციალურად გადავიდა დისტანციური სწავლების სრულ მოდელზე. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის იყო, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს<sup>1</sup> კოვიდ-19-ის მსოფლიო პანდემია გამოაცხადა, ხოლო საქართველომ 21 მარტს – საგანგებო მდგომარეობა.<sup>2</sup>

პანდემიის დასაწყისში საქართველოს განათლების სისტემის ყველაზე დიდი გამოწვევა უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფა იყო. როგორც 2020 წლის ანგარიშშია ასახული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეს ამოცანა წარმატებულად მიიჩნია.<sup>3</sup> სამინისტროს მონაცემებით, 2019-2020 სასწავლო წლის ბოლომდე დისტანციური განათლება საჯარო და კერძო სკოლების 579 995-მა მოსწავლემ<sup>4</sup> (საჯარო და კერძო სკოლები) მიიღო (ჯამური 592 900-დან<sup>5</sup>). თუმცა, როგორც იმავე ანგარიშშია აღნიშნული, მოსწავლეების 12%-ს (63 272) სახლის პირობებში არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა, ხოლო 14%-ს (71 796) კი – საკუთარი კომპიუტერი. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით მოსწავლეების უმეტესობა გაკვეთილებში მონაწილეობას იღებდა მობილური ტელეფონების საშუალებით. ონლაინ სწავლებაში მოსწავლეების ჩართულობის ზემოაღნიშნული რაოდენობრივი მონაცემები არ ასახავს მოსწავლეების, მათი ოჯახების, მეზობლებისა და სოციალური გარემოს მიერ დისტანციური განათლებისთვის გაწეულ ხარჯებს. არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის უწყვეტობა შენარჩუნდა ოჯახის სოციალურ-ეკონომი-

კური რესურსებისა და მასწავლებლების ხარჯზე, ვინაიდან მთავრობამ არ უზრუნველყო შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები.

საქართველოში პანდემიის პერიოდის ზოგადი განათლება სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. საკითხის კვლევა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ის სწავლობს „ციფრულ დაყოფას“ და საერთო უთანასწორობას ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. კვლევის მთავარი კითხვები იყო: (I) რა იყო პანდემიის დროს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციები, და (II) რა კავშირია მოსწავლეთა მიღწევებსა და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის?

საქართველოში პანდემიის დროს ზოგად განათლებაზე ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ მოსწავლეების მონაწილეობა სასწავლო პროცესში ძირითადად შემოიფარგლება ონლაინ გაკვეთილებში ჩართვით. რამდენიმე კვლევა ფოკუსირებულია სწავლების ხარისხსა და პროგრამის დაუფლებაზე, ხოლო უგულებელყოფს სხვა ფაქტორებს, როგორცაა ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ცხოვრების დონე, ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, დასაქმება/უმუშევრობა და ოჯახის სტრუქტურა. მოსწავლეების ონლაინ გაკვეთილებში მონაწილეობა და აკადემიური მოსწრების ხაზგასმა მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე არ იძლევა ამ საკითხის საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას. ზემოაღნიშნულ ფაქტორებს პირდაპირ თუ ირიბად გავლენა აქვს მოსწავლეთა მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე, მასწავლებლის დატვირთვაზე, მოტივაციაზე, სასწავლო პროცესში ჩართულობასა და, ზოგადად, განათლების ხარისხზე.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ აქტუალური გახადა ტერმინი „ციფრული დაყოფა“. „ციფრული დაყოფა განათლებაში არის განსხვავება მათ შორის, ვისაც აქვს ტექნოლოგიის საკმარისი ცოდნა და მასზე წვდომა, და მათ შორის, ვისაც ეს არ აქვს.“<sup>6</sup> ციფრული უთანასწორო-

1 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის გახსნილი სიტყვა კოვიდ-19-ის შესახებ მედია ბრიფინგზე - 11 მარტი, 2020 წელი; <https://bit.ly/2WGgPYb>

2 საქართველოში საგანგებო მდგომარეობა ერთი თვით გამოცხადდა; რადიო თავისუფლება; 2020 <https://bit.ly/38tpzTK>

3 პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), 2020 წელი; <https://bit.ly/3jxvaPg>

4 იქვე.

5 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტთა რაოდენობა; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი); <https://bit.ly/2WEFhct>

6 School of education of online programs: 2020; ACT Center for Equity in

ბის მაგალითს წარმოადგენენ მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ ინტერნეტი დისტანციური სწავლების დროს და უწევდათ მობილური ტელეფონის ან ოჯახის კომპიუტერის გამოყენება, და ისინი, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა მაღალი დონის პერსონალურ კომპიუტერსა და ინტერნეტზე. შედეგად, დიდი განსხვავებაა განათლების ხარისხსა და მათ აკადემიურ მოსწრებას შორის. ეს არის ციფრული დაყოფის დასაწყისი, რომელიც შემდეგ გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებში და მწვავედ იხეთი ფაქტორებით, როგორცაა ოჯახის სტრუქტურა და შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები და ა.შ. დისტანციური სწავლების მზარდმა მოთხოვნამ აჩვენა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები და ინტერნეტი გახდა ზოგადი განათლების ძირითადი მოთხოვნა.

საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სტრუქტურული უთანასწორობა პანდემიამდეც არსებობდა. ამ თემაზე ყველაზე ხშირად ციტირებული კვლევა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) ჩაატარა. „საერთაშორისო მოსწავლეების შეფასების პროგრამის“ მიხედვით: „შედეგები აჩვენებს, რომ ქართველ მოსწავლეებს აქვთ აკადემიური მოსწრების სხვადასხვა დონე რამდენიმე დემოგრაფიულ განზომილებაში“.<sup>7</sup> როგორც კვლევაშია აღნიშნული, PISA-ს ინდექსში ეს მახასიათებლები ასევე მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სტატუსს (ESCS), რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეფასდეს რამდენიმე მაჩვენებლის საფუძველზე, როგორცაა მშობლების განათლება, პროფესია და კერძო საკუთრება (სახლის ქონა). ამავე ანგარიშიდან ჩანს, რომ 2015 წელს საქართველოში დაბალის სოციალური სტატუსის მოსწავლეებმა 78 ქულით ნაკლები დააგროვეს მაღალი სოციალური სტატუსის მოსწავლეებთან შედარებით, რაც დაახლოებით 2,5 წლიანი სწავლის ტოლფასია. ეს მონაცემები პანდემიამდეა მოპოვებული. სავარაუდოდ, გლობალურმა პანდემიამ და განათლებაზე წვდომის შეზღუდულმა რესურსებმა გააუარესა არსებული უთანასწორობა, ხოლო ციფრულმა უთანასწორობამ მას კიდევ უფრო ფართო ხასიათი მისცა.

მსგავსმა კვლევამ აჩვენა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევა არაეფექტური აღმოჩნდა ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. საქართველოში ზოგადი განათლების გამოწვევების გასაგებად და პანდემიის შედეგად შექმნილი რეალობის სირთულის წარმოსაჩენად, კვლევა მიზნად ისახავს ახსნას ეს საკითხები ქვეყანაში არსებული საერთო, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციებისა და კონტექსტების, ასევე, განათლების ძირითადი ფუნქციების (სასკოლო პროცესების) გათვალისწინებით. რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღება არაა მხოლოდ სასწავლო პროცესზე ან დისტანციური განათლების ღირებულებაზე და ხელმისაწვდომობაზე გამახვილებული.

ჩვენთვის კვლევის ამოსავალი წერტილი იყო რწმენა, რომ სკოლაში სწავლება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ სწავლას და საგნობრივი ცოდნის გაუმჯობესების პროცესს. პანდემიის დაწყებიდან აქცენტი კეთდება დისტანციურ სწავლებაში მოსწავლეების მონაწილეობაზე და განათლების ხარისხზე. ამ დისკუსიამ სათანადო ყურადღება არ დაუთმო იმ სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც მოსწავლეები და მშობლები იღებენ განათლების სისტემიდან. ამ კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სკოლებს მხოლოდ საგანმანათლებლო, სოციალური და განმავითარებელი ფუნქცია კი არ აქვთ, არამედ ასევე ასრულებენ სოციალურ და ეკონომიკურ როლს მოსწავლეებისა და მათი ოჯახებისთვის. სკოლა, როგორც ფიზიკური დაწესებულება ითავსებს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ფუნქციას, რაც ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის თანაბარი სასწავლო გარემოს შექმნას. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, აჩვენოს: მკაფიო კავშირი სასკოლო პროცესსა და სკოლების სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას შორის; როგორ ახერხებენ მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები ჩაერთონ ზოგადსაგანმანათლებლო ციკლში, მიუხედავად მათი დაბალი ეკონომიკური მდგომარეობისა თუ პანდემიისგან გამოწვეული სხვა დაბრკოლებებისა.

Learning; <https://bit.ly/3Qdl8QA>  
 7 OECD-ის მიმოხილვები განათლებისა და შეფასების შესახებ: საქართველო; 2019 <https://bit.ly/3Rl1Dqv>

## 1

# საქართველოს ზოგადი განათლების უთანასწორობის სტრუქტურული ფაქტორების გააზრება

ზოგადი განათლების კომპლექსური ხასიათის გამო, საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო კომპეტენციებითა და მოსწავლეთა სოციალიზაციით. სასკოლო პროცესები თანასწორობის გაზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა.<sup>8</sup> თანასწორობისა და განათლების ხელმისაწვდომობის ცნებები გულისხმობს მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე მათი დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის შემცირებას.<sup>9</sup> თანასწორობის ამ გაგების თანახმად, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები, მიიღონ ხარისხიანი ზოგადი განათლება, მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური პირობებისა, ცხოვრების დონისა და სხვა გარე თუ შიდა ფაქტორებისა. სასწავლო გარემოს თანასწორობამ და ხელმისაწვდომმა განათლებამ უნდა მოახდინოს დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის კომპენსირება. საგანმანათლებლო სისტემაში თანასწორობის გასაზრდელად, აუცილებელია იმ ფაქტორების გადახედვა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს სასწავლო პროცესსა და უთანასწორობაზე. წინამდებარე კვლევაში გამოიკვება რამდენიმე საკითხი, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უთანასწორობის პრობლემაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადი განათლება და მასთან დაკავშირებული უთანასწორობა მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ოჯახის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრების დონე, ოჯახის სტრუქტურა, ასევე ფსიქოლოგიური და კულტურული საკითხები, რომლებიც პანდემიის დროს გაუარესდა ინტერნეტზე წვდომისა და დაბალი ტექნოლოგიური უნარების გამო. ეს თავი განიხილავს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გამოჩნდა ჯგუფური დისკუსიების დროს და რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში.

## 1.1 სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წელს ოფიციალური საშუალო თვიური შემოსავალი 11910 ლარი იყო,<sup>10</sup> უმუშევრობის დონე კი – 18,5%.<sup>11</sup> რეალობა ამ მონაცემების მიღმა კიდევ უფრო რთულია, რადგან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დასაქმებისა და საშუალო ხელფასის მეთოდოლოგია სრულად ვერ აღწერს ქვეყანაში არსებულ რეალურ მაჩვენებლებს.<sup>12</sup> უფრო მეტიც, არაოფიციალური გათვლებით, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, საშუალო თვიური შემოსავალი კი – გაცილებით დაბალი.

უმუშევრობის ზრდაზე ასევე აისახა პანდემიის დასაწყისიდან შემოდებული სოციალური დისტანციისა და გადაადგილების შეზღუდვის ეკონომიკური გავლენა, რადგან ადამიანებმა დაკარგეს ხელფასი და, შესაბამისად, შემოსავალი. შედეგად, გაიზარდა სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებული პირების რაოდენობა. პანდემიის დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარდა, მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ შეღავათებს, მათ შორის: სამი თვის კომუნალური გადასახადების დაფარვას, სუბსიდირებულ სესხებს ტურისტული ბიზნესისთვის, სხვადასხვა პროდუქტზე სტაბილური ფასის შენარჩუნებას, სახელმწიფო მიერ ცხრა ყველაზე მოთხოვნად პროდუქტზე უცვლელი ფასის განსაზღვრას და ა.შ. მიუხედავად ამ მცდელობისა, ანტიკრიზისული გეგმა არ შეხებია განათლების სექტორს და არც ინტერნეტის გადასახადის სუბსიდირება გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის.

ეს კვლევა ეხება პანდემიით შექმნილ რეალობას და აჩვენებს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გავლენას ზოგადი განათლებაზე. დისტანციურ განათლებაზე გადასვლის შემდეგ, მოსწავლეებისთვის ონლაინ

8 The Power of Education to Fight Inequality How increasing educational equality and quality is crucial to fighting economic and gender inequality; 2019; OXFAM; <https://bit.ly/3qfUT13>

9 Social and economic factors contributing to inequality in test results; <https://bit.ly/3BDslpm>

10 დასაქმება და ხელფასები 2020 წელს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; <https://bit.ly/3BdaDsd>

11 დასაქმება და უმუშევრობა 2020 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://bit.ly/3eneNoq>

12 როგორ ითვლიან საშუალო ხელფასს საქართველოში – მხარეთა დამატებითი არგუმენტები, 2018; Pertaia; <https://bit.ly/3RmiZmT>



სწავლებაში მონაწილეობის წინაპირობა გახდა ტექნოლოგიები და ინტერნეტი. იმისათვის, რომ მოსწავლეები ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში, ოჯახებს მოუწიათ შვილების უზრუნველყოფა მობილური ტელეფონებით ან კომპიუტერებით და უწყვეტი ინტერნეტით. ეს დამატებით ფინანსურ ტვირთად დააწვა ოჯახებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც დაბალი შემოსავალი აქვთ.

ოჯახების ეკონომიკურ გამოწვევებთან დაკავშირებული პირველი პრობლემა არის მოსწავლეების აღჭურვა ტექნოლოგიებითა და გაჯეტებით. პანდემიამდე სკოლაში დასწრების მაჩვენებელი 15-დან 18 წლამდე ასაკის ყველაზე დარბი ბავშვებისთვის თითქმის 81% იყო, ხოლო იმავე ასაკობრივი ჯგუფის უმდიდრესი ბავშვებისთვის – 98% (იუნისეფი, 2018). საქართველოში ყოველ მეხუთე დარბი ბავშვს არ აქვს ზოგად განათლებაზე წვდომა 15 წლის ასაკში (იუნისეფი, 2018). პანდემიის დროს ეს რიცხვები გაიზარდა. მოსწავლეების 12%-ს (63 272) არ ჰქონდა ინტერნეტი სახლში, ხოლო 14%-ს (71 796) არ გააჩნდა კომპიუტერი ონლაინ გაკვეთილებში მონაწილეობის მისაღებად (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 2020).

ჯგუფური დისკუსიების დროს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ისაუბრეს დისტანციურ განათლებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის არ ჰქონდათ წვდომა კომპიუტერზე. გაკვეთილებში მონაწილეობის მისაღებად, ისინი ხშირად იყენებდნენ მშობლების ტელეფონებს ან იყოფდნენ ლეპტოპს ან კომპიუტერს ოჯახის სხვა წევრებთან. შედეგად, მოსწავლეებისთვის გაკვეთილები არათანმიმდევრული იყო. ზოგიერთ კლასში მობილური ტელეფონი არ იყო საკმარისი და დავალების შესრულებას კომპიუტერი ან ლეპტოპი სჭირდებოდა. დაბალშემოსავლიანი ოჯახების შვილებისთვის განათლებაზე წვდომის ბარიერები კიდევ უფრო გაიზარდა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2021 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 25%-მა თქვა, რომ დაკარგა სამსახური (13%) ან შეუმცირდა შემოსავალი (12%) პანდემიის გამო.<sup>13</sup> ოჯახები აღმოჩნდნენ ეკონომიკურ და სოციალურ გაჭირვებაში შემოსავლის დაკარგვისა თუ შემცირების გამო. შესაბამისად, უფრო პრიორიტეტული გახდა ძირითადი საჭიროებები, როგორცაა კვება ან სამედიცინო დახმარება, ხოლო ადეკვატური საგანმანათლებლო პირობები და კომპიუტერებსა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე წვდომა უკანა პლანზე გადავიდა. ასეთი გამოცდილება უარყოფითად აისახა მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღწევებზე.

გარდა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა, ოჯახებისთვის გამოწვევას წარმოადგენს ინტერნეტის საფასური. ინტერნეტის შეღწევალობა საქართველოში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, კვლავ პრობლემად რჩება.<sup>14</sup> განათლებაზე საყოველთაო წვდომის უზ-

რუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პროექტი „ტელესკოლა“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ინტერნეტისა და კომპიუტერზე საყოველთაო წვდომა, 30 მარტს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“.<sup>15</sup> აღნიშნული პროექტი არსებული სისტემის ალტერნატივა ვერ იქნება, რადგან მას აკლია სრულფასოვანი საკლასო ოთახის რამდენიმე ფუნქცია: არ არსებობს უკუკავშირისა და შეფასების ფორმები, ხოლო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა არ არის გათვალისწინებული. „ტელესკოლა“ შეიძლება შეფასდეს როგორც ინსტრუმენტი და არა როგორც სკოლის ან თუნდაც დისტანციური სწავლების რეალური ალტერნატივა.

ჯგუფურ დისკუსიებში რესპონდენტებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ აღიქმებოდა სკოლის ფუნქცია პანდემიამდე. მოსწავლეებისთვის სკოლა არის ადგილი, სადაც მხოლოდ განათლებას კი არ იღებენ, არამედ ახდენენ სოციალიზაციას, ავითარებენ ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, ქმნიან სოციალურ წრეებს და უმეგობრდებიან საერთო ინტერესების მქონე თანატოლებს. კვლევის დროს მასწავლებლებსაც იგივე შეკითხვა დაესვათ. მასწავლებლების პასუხები უფრო კომპლექსური იყო მათი გამოცდილებიდან გამომდინარე. მათ კრიტიკულად შეაფასეს რეალობა და ისაუბრეს არა მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემაზე, არამედ მოსწავლეთა ოჯახების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მშობლების როლზე და ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე. გარდა ამისა, მასწავლებლებმა შეძლეს იმ მოსწავლეების ფსიქოლოგიური მდგომარეობის იდენტიფიცირება, რომელთა მშობლებსაც აქვთ არარეგულარული სამუშაო საათები, არიან შრომით მიგრაციაში ან არიან ეკონომიკურად დაუცველები.

**„მთავარ პრობლემას სოციალური პირობები წარმოადგენს, ამიტომ მშობლები იძულებულიები არიან მიატოვონ შვილები, რაც მძიმედ აისახება მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. უამრავ მშობელს უჭირს შვილებთან დროის გატარება და ეს დიდად აისახება ამ ბავშვებზე, მათ განათლებაზე, ქვეყანაზე და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე“.**

**(მასწავლებელი ქობულეთიდან)**

რაც შეეხება ზოგად განათლებას, აქ მოსწავლეების მოსაზრებები რამდენიმე ჯგუფად დაიყო. ზოგიერთი მოსწავლე თვლის, რომ სკოლამ მათ უნდა მისცეს საბაზისო განათლება საზოგადოებაში ორიენტირებისთვის, ზოგის აზრით კი, სკოლამ ისინი უნდა მოამზადოს მომავალი პროფესიებისა და კარიერისთვის. ამ საუბრებს ყოველთვის მოყვებოდა მსჯელობა იმ რწმენის შესახებ, რომ „ვისაც სწავლა უნდა, ისწავლის“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოტივირებული მოსწავლეები ყოველთვის იპოვიან გზას, თვითონ მიიღონ განათლება ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებით, შემაფერხებელი გარემოებების მიუხედავად. ზოგი მასწავლებელიც ასევე თვლიდა,

13 საზოგადოების განწყობა საქართველოში 2021 წლის თებერვლის სატელეფონო გამოკითხვის შედეგები; NDI; CRRC; <https://bit.ly/3eoORZx>

14 ინტერნეტის გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის ტენდენციები საქართველოში, 2020 წელი; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI); <https://bit.ly/3KJ74x7>

15 Covid 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020, გვ.41-42.; <https://bit.ly/3QIORZg>

რომ „თუ მოსწავლეს სწავლა აინტერესებს, ისწავლის“, რაც მნიშვნელობით უდრის ზემოთმოყვანილ მოსაზრებას – „ვისაც სწავლა უნდა, ისწავლის“. რესპონდენტებმა მოიყვანეს სხვადასხვა მაგალითი ამ მიდგომის მართებულობის დასამტკიცებლად. ასეთი შეფასებები მოწმობს, რომ ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია, ხოლო მისი შედეგების გადაცემა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობად ითვლება.

სხვა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლისთვის აუცილებელი იყო წიგნები, კომპიუტერები, ცალკე ოთახები, ინტერნეტი და მშვიდი გარემო. დისკუსიის დროს გამოიკვეთა ორი განსხვავებული მოსაზრება, თუმცა რესპონდენტები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ „ვისაც სწავლა უნდა, ისწავლის“ არის გამონაკლისი და არა ზოგადი ნორმა, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა მშობლების უმუშევრობა, ოჯახის შემოსავალი და შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე და სწავლის რეალურ შედეგებზე.

ეს თავი რომ შევაჯამოთ, ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და შემოსავალი აისახება მოსწავლეების განათლების პირობებზე. პანდემიის შედეგად წარმოქმნილი სოციალური რეალობა მოითხოვს მაკომპენსირებელ გარემოებებს, რათა შერბილდეს მოსწავლეების წინაშე მდგარი დაბრკოლებები და უთანასწორობის მოსალოდნელი გამწვავება. ინდივიდუალური ძალისხმევა მართლაც მნიშვნელოვანია განათლების მიხედვით, მაგრამ კოლექტიური ბარიერების გადალახვა ეფექტიან ჩარევას მოითხოვს.

## 1.2 ცხოვრების სტანდარტები

პანდემიამდე, ოჯახის საცხოვრებელი გარემო და რესურსები იყო იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო კუთხით არსებული უთანასწორობის გაუარესებას. მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესმა სკოლებიდან სახლებში გადაინაცვლა, საცხოვრებელი გარემო გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც პრაქტიკულად განსაზღვრავს მოსწავლეთა სრულ ჩართვას სასწავლო პროცესში, ასევე მათი განათლების ხარისხსა და მიღწევებს. მოსწავლის მოტივაცია და აკადემიურ მიღწევებს დიდად განსაზღვრავს საშინაო გარემოს მახასიათებლები, როგორცაა სახლის წიგნები (მაგ., ბრუნელო და სხვ., 2016; სიკორა და სხვ., 2019); კარგი კვება (მაგ., ბელოტი და ჯეიმსი, 2011; ფლორენსი და სხვ., 2008) და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა (ბიჯი & ლოი, 2013; ლუუ & ფრიმენი, 2011).

კვლევის ფოკუს ჯგუფებისთვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მოსწავლეების საცხოვრებელი გარემო და მისი თავსებადობა დისტანციურ სწავლებასთან. საშუალო და, განსაკუთრებით, მაღალი კლასის მოსწავლეები აღიარებდნენ სახლის გარემოს მნიშვნელობას და მის კავშირს განათლების ხარისხთან. დისკუსიისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ არსებობს კავშირი განათლების ხარისხსა და ცხოვრების დონეს, ოჯახის სტრუქტურას, სახლის მოცულობას, პირადი სივრცისა და ინფრასტრუქტურის არსებობას ან არარსებობას და ოთახებისა და სახლების არასათანადო ზომას შორის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ეს პირობები ხელს უშლის მათ ხარისხიანი დისტანციური განათლების მიღებაში. ამ ყველაფერმა მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა დაამძიმა და ოჯახებში კონფლიქტები და დაძაბულობა გამოიწვია.

„ეს იყო დიდი პრობლემა. არ გვქონდა ცალკე ოთახები, ამიტომ ზოგჯერ გვადიზიანებდა ხმაური, როდესაც მამაჩემი ტელევიზორს უყურებდა, ხან ბებიამ შემოდიოდა ჩვენს ოთახში და გვეკითხებოდა, ხომ არ გვმია. კიდევ იყო სხვა სასაცილო სიტუაციები, რომლებიც ხშირად ხდებოდა კამათის მიზეზი.“

(მოსწავლე ბათუმიდან)

„ვფიქრობ, ოთახი რომ მქონდეს, უკეთესად ვისწავლიდი.“

(მოსწავლე ქუთაისიდან)

მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფებში ასევე განიხილეს ოჯახების ცხოვრების დონე და მისი გავლენა განათლებაზე. კომპიუტერებისა და ტელეფონების ეკრანებიდან მასწავლებლები ადვილად ამჩნევდნენ მოსწავლეთა ოჯახურ გარემოში არსებულ დაძაბულობას. პანდემიამდე მასწავლებლები ახერხებდნენ ამ ოჯახური პრობლემების კომპენსირებას საკლასო ოთახებში, ხოლო სკოლის ინფრასტრუქტურა ანაზღაურებდა ცუდ საცხოვრებელ პირობებს. ხმაურიან სახლებში გაკვეთილებზე დასწრებისა და მობილური ტელეფონებით საშინაო დავალების შესრულების გარდა, მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ საშინაო საქმეების შესრულება, როგორცაა უმცროსი დაძმების დახმარება სწავლაში ან ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა.

„ვფიქრობ, პირადი სივრცე უმნიშვნელოვანესია, რადგან ვერ ახერხებ კონცენტრირებას, როცა შენს ირგვლივ ხალხია და ხმაურობენ! საქმე იმაშია, რომ ხანდახან ბავშვებს უწევთ სახლის საქმის კეთება, უმცროს დაძმებზე ზრუნვა...“

(მოსწავლე ბათუმიდან)

ფოკუს ჯგუფებში გაირკვა, რომ სწავლის პროცესის კერძო სივრცეში გადატანამ ხელი შეუშალა პანდემიის პერიოდში განათლების უფლების რეალიზებას. თუმცა, კვლევის დროს შეგროვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ამ უფლების რეალიზება დაკავშირებული იყო ისეთ სისტემურ საკითხებთან, როგორცაა სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკური სისტემა და საბინაო პოლიტიკა კი. თუმცა, დისტანციური განათლების შესახებ გამოცდილების გაცვლისას გამოიკვეთა ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორცაა საცხოვრებლის სიმჭიდროვე, ხმაური, პირადი სივრცის, გათბობისა და საჭირო საგანმანათლებლო აღჭურვილობის ნაკლებობა. ეს ყველაფერი არის დამატებითი ბარიერები, რომლებიც უფრო დიდ გავლენას ახდენს გარკვეული ჯგუფების საგანმანათლებლო წარმატებაზე.

„ზამთარში ერთ-ერთ მოსწავლეს შემდეგი პრობლემები ჰქონდა: მხოლოდ ის ოთახი თებოდა, სადაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა. ამიტომ, ხმაურის თავი-

დან ასაცილებლად, მოსწავლე იძულებული იყო სხვაგან წასულიყო – აივანზე ან ცივ ოთახში. გარდა ამისა, სოფლებში ზოგიერთ ადგილას ინტერნეტი არ იქნება. მთელი დღე ცივ ოთახში ვერ ძლებდა, ასეთ პირობებში მხოლოდ ერთ გაკვეთილზე გაძლება შეეძლო.“  
(მასწავლებელი კასპიდან)

ოჯახის სტრუქტურა, როგორცაა ბავშვების რაოდენობა, ყველა ბავშვის ტექნიკური აღჭურვილობა და სახლის ზომა, ყველაზე მეტად ამ პერიოდში აისახა განათლების დონეზე. საქართველოში სიღარიბე და, შესაბამისად, მისი უარყოფითი გავლენა უფრო ძლიერია ისეთ ოჯახებში, სადაც ერთზე მეტი შვილი ჰყავთ. 2017 წელს ოჯახების 33%-ს ჰყავდა მინიმუმ ერთი შვილი. ბავშვების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის დონეც. მაგალითად, მარტოხელა ან მრავალშვილიანი ოჯახების 27.2% და 24.5% ცხოვრობს ფარდობითი და ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სამი და მეტი შვილის შემთხვევაში ფარდობითი სიღარიბის დონე იზრდება თითქმის 39.9%-მდე, ხოლო ზოგადი სიღარიბის - 33.4%-მდე (იუნისეფი, 2018). თუ ოჯახს ორი ან მეტი მოსწავლე ჰყავს, დამატებითი ხარჯები იზრდება და კომპიუტერული ტექნოლოგიების ბარიერი ართულებს მათ ჩართვას დისტანციურ სწავლებაში.

გაკვეთილის დაგეგმვისას ასევე წარმოიშვა თვითორგანიზების ფორმები, როდესაც მასწავლებლები სტანდარტიზებულ მიდგომას კი არ მიჰყვებოდნენ, არამედ უწევდათ მოსწავლეებისა და მათი ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება დიფერენცირებული მიდგომის გზით. იმ ოჯახების შემთხვევაში, სადაც რამდენიმე მოსწავლე იყო, თანაც საჭირო ტექნიკური რესურსების გარეშე, მასწავლებლები ცდილობდნენ სასწავლო გეგმა ისე შეედიანათ, რომ ერთი ოჯახის მოსწავლეები სხვადასხვა დროს სხვადასხვა გაკვეთილს დასწრებოდნენ.

„...როცა საქმე ცხრილზე მიდგა, ისე დავგეგმეთ, რომ გაკვეთილზე დასწრების დრო ერთმანეთს არ დამთხვეოდა, რადგან მათ მხოლოდ ერთი კომპიუტერი ჰქონდათ. ეს კი პრობლემას წარმოადგენდა, ამიტომაც ცხრილი ასე შევადგინეთ“.  
(მასწავლებელი ფარცხანაყანებიდან)

დისკუსიაში მოსწავლეები სკოლას განიხილავდნენ, როგორც ოჯახის ფუნქციების შემათავსებელ დაწესებულებას. მოსწავლეებმა ისაუბრეს ოჯახური ძალადობის შესაძლო შემთხვევებზე და ოჯახური მზრუნველობის ნაკლებობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლები მუშაობენ არარეგულარული სამუშაო გრაფიკით ან სამუშაოდ მიდიან საზღვარგარეთ. ფოკუს ჯგუფში გამოკითხულ მოსწავლეებს მიაჩნიათ, რომ სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ისინი თავს დაცულად იგრძნობენ, თუ ეს საკუთარ ოჯახებში არ შეუძლიათ. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ პანდემიის დაწყებამდე დროის უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებდნენ და, გარკვეული გაგებით, მას მეორე ოჯახად თვლიდნენ. მათი აზრით, ოჯახებში არსებული პრობლემების კომპენსირება სკოლამ უნდა მოახდინოს.

„თუ სახლი არ არის დასვენებისა და უსაფრთხოების ადგილი, მაშინ სკოლაა ასეთი ადგილი, მით უმეტეს, თუ მეგობრებთან ან სხვებთან ერთად ხარ – ისინი ხდებიან შენი მეორე ოჯახი. თუ პირველი ოჯახი იმედებს გაგიცრუებს, მეორე უნდა დაგიდგეს გვერდში და სკოლა ზუსტად ამას აკეთებს.“  
(მოსწავლე თბილისიდან)

ამ მოსაზრებას იზიარებდნენ მასწავლებლებიც. მათ განაცხადეს, რომ მოსწავლეებთან ხშირად უწევდათ მშობლის ან ოჯახის წევრის როლის შესრულება. ამის მთავარი მიზეზი არის ქვეყანაში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პანდემიის პერიოდში ძალიან შესამჩნევი იყო მოსწავლეების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. განსაკუთრებული ზრუნვა იყო საჭირო იმ მოსწავლეებთან, რომელთა მშობლებსაც ჰქონდათ არარეგულარული სამუშაო საათები, ან იყვნენ ემიგრაციაში. მაგალითად, მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ ტექნიკური აღჭურვილობა და საკუთარი მობილური ტელეფონი, ვერ მონაწილეობდნენ ონლაინ გაკვეთილებში. ამ დილემიდან გამოსავალი ის იყო, რომ მასწავლებლები მოსწავლეებთან რეკავდნენ სადამოს, როცა მშობლები სამსახურიდან ბრუნდებოდნენ და მობილური ტელეფონები ხელმისაწვდომი იყო, რომ დღის განმავლობაში გაცდენილი გაკვეთილები აენაზღაურებინათ.

„მათ ასევე სჭირდებათ მორალური მხარდაჭერა, განსაკუთრებით თინეიჯერობის ასაკში. ამიტომ ხშირად ვითავსებთ დედის და მამის როლს, რომლებიც განაცხადებენ უზრუნველს ვერ იღებენ მათი სიშორის გამო.“  
(მასწავლებელი ქობულეთიდან)

ამრიგად, ერთმანეთს ემთხვევა მოსწავლეებისა და მასწავლებლების აღქმა, რომ სკოლა ითავსებს მეორე ოჯახის როლს. ამის მთავარი მოტივი უსაფრთხოება და ზრუნვაა, მაგრამ მშობლების გადატვირთული გრაფიკი და ცუდი საცხოვრებელი პირობები აძლიერებს სკოლისა და მასწავლებლების როლს.

მშობლების არარეგულარული სამუშაო გრაფიკის ან მათი არყოფნის გამო, ჯგუფური დისკუსიისას ყურადღება ბავშვების საცხოვრებელ გარემოსა და კვებაზეც გამახვილდა. სიღარიბე ასევე შეიძლება იყოს ბავშვის არასრულფასოვანი კვების მიზეზი. საქართველოში 83 065 მოზარდი იყენებს „ბავშვის კვების ბარათს“.<sup>16</sup> ანუ ისინი იღებენ თვეში 50 ლარის (დაახლოებით 15 აშშ დოლარი) ოდენობის დახმარებას, საიდანაც 30 ლარი (დაახლოებით 8 აშშ დოლარი) ირიცხება „ბავშვის კვების ბარათზე“, ხოლო ოჯახის საბანკო ანგარიშზე - 20 ლარი (დაახლოებით 6 აშშ დოლარი). აქედან გამომდინარე, ქვეყანას არ გააჩნია მოსწავლეების სოციალური მხარდაჭერის ადეკვატური მექანიზმები, მათ შორის ბავშვთა კვების კუთხით. მთელი დღის განმავლობაში დაბალანსებული კვება ხელს უწყობს მოსწავლეების წარმატებას კლასში და მის გარეთ. კვლევებმა აჩვენა, რომ სასკოლო

<sup>16</sup> საქართველოში 83 065 მოზარდი „ბავშვის კვების ბარათით“ სარგებლობს, 2020, რადიო თავისუფლება <https://bit.ly/3mKTiQB>



კვების პროგრამები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლეთა საერთო ჯანმრთელობისა და მიღწევების ხელშეწყობაში, ბავშვების კვების გაუმჯობესებითა და მიმდინარე წინააღმდეგ ბრძოლის გზით.<sup>17</sup>

საქართველოში საბავშვო ბაღებში ბავშვები დღეში სამჯერ ან, სულ მცირე, ერთხელ იკვებებიან,<sup>18</sup> მაგრამ ქვეყანას არ აქვს სასკოლო კვების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე. სკოლების უმეტესობაში კვებას უზრუნველყოფენ კომერციული კომპანიები, რომლებიც ფასებს საბავშვო პრინციპებით არეგულირებენ. პანდემიის დაწყების შემდეგ მსგავსი კომერციული ბუფეტების ფუნქციონირება შეიზღუდა. 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავეს რეკომენდაციები სკოლებში სადილის ხელმისაწვდომობის შესახებ. პროტოკოლის მიხედვით, მოსწავლეებს საკვები კონტეინერით უნდა მოეტანათ და კვების ადგილი კი კლასებში მოეწყოს. ბევრი მოსწავლისთვის ამ წესმა ვერ იმუშავა, რადგან ყველას არ შეეძლო სახლიდან საკვების მიტანა. შესაბამისად, ზოგიერთ მოსწავლეს შეეძლო ეჭამა საკლასო ოთახებში, დანარჩენები კი სადილის გარეშე რჩებოდნენ.

მოსწავლეთა კვების და სოციალური უთანასწორობის საკითხი არაერთხელ მოექცა სასკოლო სწავლებით დაინტერესებული ექსპერტების ყურადღების ცენტრში. ზოგიერთი მკვლევარი თანხმდება, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის უარყოფითი გავლენა ბავშვებზე მცირდება, როდესაც ყველა ბავშვი იღებს უფასო, ჯანსაღ საკვებს სკოლაში. კვლევის ფარგლებში ჩატარებული დისკუსიების დროს მასწავლებლებმა გაიხსენეს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის გამო შემუშავებულმა ახალმა პროტოკოლმა უხერხულობა გამოიწვია საკლასო ოთახში – ზოგმა მოსწავლემ სადილი სახლიდან მოიტანა, ზოგმა კი ვერ. პანდემიის და შესაბამისი შეზღუდვების გამო, მოსწავლეებს არ აძლევდნენ კლასების დატოვების უფლებას, ამიტომ ზოგ მათგანს რცხვენოდა ლანჩის ყუთის გახსნა, რადგან მათ თანაკლასელებს საქმელი არ ჰქონდათ.

*„...ბავშვები აღმოჩნდნენ იმ ფაქტის წინაშე, რომ ზოგ ბავშვს საქმელი მოჰქონდა, ზოგს კი – არა. შევამჩნიე, რომ ზოგს სურდა ჭამა, მაგრამ საქმელი არ ჰქონდა. ერთადერთი რისი გაკეთებაც შევძელი, ის იყო, რომ ყველა მშობელს ვთხოვე ბავშვებისთვის გამოეტანებინათ რულები ან ხაჭაპური და არა სხვადასხვა საქმელი. ამას გარკვეულწილად მივაღწიე“.*  
(მასწავლებელი ქობულეთიდან)

ბავშვების უფასო კვებით უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა სკოლებში სოციალური

უთანასწორობის შესამცირებლად და უკეთესი აკადემიური მოსწრების მისაღწევად. როდესაც ამ საკითხზე ვესაუბრეთ მოსწავლეებს, მათ მოკლედ გვიპასუხეს. ერთმა მოსწავლემ თქვა, რომ დღის უმეტესი ნაწილი მშინ იყო, რაც სხვა მოსწავლეებს არ გაუკვირდათ. თუმცა, კვება არ აღმოჩნდა მოზარდების საყვარელი თემა.

მოცემული თავის დასკვნაა, რომ პანდემიით და შემდგომი რეგულაციებით შექმნილი ახალი რეალობა, ცხოვრების პირობების, ოჯახის სტრუქტურის, მშობლების მუშაობის/უმუშევრობის, კვების და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ასპექტების განხილვა მნიშვნელოვანია. კვლევა აჩვენებს, რომ სკოლა ასრულებს მაკომპენსირებელ როლს დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახების მოსწავლეებისთვის. სკოლა აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, როგორცაა გათვლილი, სასწავლო მასალები და სპორტული ინვენტარი. გარდა ამისა, სკოლაში მოსწავლეები იღებენ ზრუნვას და ყურადღებას, რაც აკლიათ საკლასო ოთახის გარეთ (მშობლების არარეგულარული სამუშაო საათების ან სამუშაოდან გამომდინარე მათი არყოფნის გამო და ა.შ.). პანდემიის დროს შეზღუდული მობილობისა და იზოლაციის გამო, ზემოაღნიშნული შესაძლებლობები ძალიან შემცირდა. მიუხედავად მასწავლებლების ძალისხმევისა და თვითორგანიზებისა, რომ ჩატარებინათ გაკვეთილი თითოეული მოსწავლისთვის და ეპოვათ სწავლების ექსპერიმენტული გზები, ონლაინ სწავლებისას გამოვლენილი პრობლემოვყვარება და მონდომება არ არის სკოლის ალტერნატივა.

### 1.3 სწავლის დანაკარგები და მისი მიზეზები

პანდემიამდე სკოლებს არ ჰქონდათ სწავლებასა და სწავლაში ინტერნეტის აქტიური და სისტემატური გამოყენების გამოცდილება. მოსწავლეებისა და მასწავლებლების უმეტესობა ინტერნეტს არ უკავშირებდა სასწავლო პროცესს. პანდემიით შექმნილი ვითარების გამო, მათ მოუწიათ გაცნობოდნენ დისტანციურ სწავლებასა და სწავლას პროფესიული მხარდაჭერის გარეშე. ეს კი პრობლემა აღმოჩნდა.

დისტანციური სწავლების დანერგვის შემდეგ მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ისწავლეს ინტერნეტისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებლად გამოყენება. მოგვიანებით მათ მიიღეს გარკვეული გამოცდილება დისტანციური სწავლების კუთხით, როდესაც შექმნეს ჯგუფები სოციალურ ქსელ ფეისბუქზე, სადაც აზიარებდნენ პროგრამულ ცოდნას სამუშაო თუ არასამუშაო საათებში. ეს კი მათთვის დამატებით ტვირთსა და სტრესს წარმოადგენდა.

პირველ რიგში, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ პრობლემა იყო ინტერნეტთან წვდომა და დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობისთვის საჭირო აღჭურვილობა. მოსწავლეები გაკვეთილში მონაწილეობას ცდილობდნენ მობილური ტელეფონის, ლეპტოპის, ტაბლეტის ან კომპიუტერის გამოყენებით. ასევე პრობლემა იყო განათლების სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმაზე, Microsoft

17 School Nutrition Statistics; School Nutrition Association; <https://bit.ly/3Bn7lxj>

18 საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით, 2013, გვ.55; UNICEF; <https://uni.cf/3TJQed0>

Teams-ზე წვდომა, რადგან ზოგიერთი მოსწავლის მოწყობილობა ამ პლატფორმების მხარდაჭერას ვერ ახერხებდა.

**„მეც მქონდა პრობლემა ინტერნეტთან დაკავშირებით და ვიცი, რომ ჩემს კლასში რამდენიმე მოსწავლეს იგივე საკითხი აწუხებდა. მთელ ოჯახში 3 ბავშვია, ლეპტოპი კი მხოლოდ ერთი. ისინი ტელეფონის მობილური ინტერნეტით შედიან. ეს პროცესი კი გადატვირთული, შრომატევადი და დაბრკოლებებით სავსეა, რადგან ზოგიერთ ტელეფონს საერთოდ არ შეუძლია „მაიკროსოფტ ვორდის“ ჩამოტვირთვა. თუ მოსწავლეს უწევდა პრეზენტაციის გაკეთება და არ ჰქონდა ლეპტოპი, მობილურით მცდელობისას შეიძლება მეტი ენერჯიულა. რამდენჯერმე მომიწია ვორდის ფაილის გადმოწერა, ეს სამინულებია, თითქმის შეუძლებელია და ბევრ სხვა მოსწავლესაც შეექმნა ეს პრობლემა.“**

(მოსწავლე თბილისიდან)

ინტერნეტთან წვდომა პრობლემას წარმოადგენს მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპიუტერულ აღჭურვილობასა და ინტერნეტზე წვდომის არათანაბარი განაწილების გამო, ინტერნეტი ერთნაირად ხელმისაწვდომი არაა საქართველოს ყველა ქალაქსა და რეგიონში. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეების უმეტესობა იყენებდა მობილურ ინტერნეტს, რაც ემატებოდა ოჯახების ყოველთვიურ გადასახადებს. თუმცა, ყველა ოჯახს არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა, ამიტომ ზოგიერთი მოსწავლე ვერ ერთვებოდა სასწავლო პროცესში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“<sup>19</sup> ითვალისწინებს განათლების ღია და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა პირისთვის. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, ონლაინ სწავლებაზე წვდომა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული ოჯახის შემოსავალზე და სახლში არსებულ ტექნოლოგიებზე. მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, განათლების სამინისტრომ, საქართველოს მსხვილ ინტერნეტ პროვაიდერებთან შეთანხმების ფარგლებში, საგანმანათლებლო მიზნებისთვის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესთავაზა სპეციალური ფასები ინტერნეტ პაკეტზე, 20 გბ მობილური ინტერნეტი 10 ლარად<sup>20</sup> ((დაახლოებით 3 აშშ დოლარი). როგორც სამინისტრო და ექსპერტები აცხადებდნენ, ეს საკმარისი იყო ონლაინ სწავლებისთვის საჭირო ინტერნეტისთვის ერთი თვის განმავლობაში. მიუხედავად ამ შეღავათისა, ზოგიერთი ოჯახს ეს ხარჯი ტვირთად ექცა. შედეგად, სასკოლო საზოგადოებამ და ცალკეულმა მასწავლებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოეხდინათ სახსრების მობილიზება მათი მოსწავლეებისთვის მობილური ინტერნეტის უზრუნველსაყოფად. ამ კვლევაში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათი განათლების ხარისხი გაუარესდა დისტანციური სწავლებისა და ცუდი ინტერნეტის გამო.

„სწავლის დანაკარგი“ არის ზოგადი ტერმინი და ფენომენი. მაგრამ პანდემიასთან ერთად, ის გახდა ცენტრალური საკითხი, რადგან განათლების სისტემების უმეტესობა გარკვეულწილად შეფერხდა. პანდემიის გავრცელებასთან ერთად, ერთი მხრივ, სკოლების დახურვის და, მეორე მხრივ, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის გამო, განათლების ექსპერტებმა და მკვლევარებმა დაიწყეს სწავლის შესაძლო დანაკარგის სამიშროების განხილვა. ტერმინი „სწავლის დანაკარგი“ განისაზღვრება, როგორც ცოდნისა და უნარების დაკარგვა ან აკადემიური განვითარების შეფერხება, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის შეწყვეტასთან და/ან შესაძლებლობებს შორის უთანასწორობის გაღრმავებასთან. ეს დანაკარგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის გაწყვეტით გამოწვეულ სოციალურ მდგომარეობასთან. დანაკარგის სხვა სახეობა შეიძლება იყოს ფსიქო-ემოციური, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია სკოლის რუტინისა და რეჟიმის დარღვევასთან. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების სწავლის დანაკარგი დაკავშირებულია იმ მასალის ცოდნასთან, რომელიც მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა მიეღოთ.

კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტებმა სწავლის დანაკარგი პირად პასუხისმგებლობად განიხილეს. მოსწავლეები თვლიდნენ, რომ დისტანციური სწავლების დროს პროფესიული კომპეტენციების შეფასება შერბილებულია და მათი გაუმჯობესება დამოკიდებულია მოსწავლეების ინდივიდუალურ ძალისხმევასა და ამ დანაკარგების ანაზღაურების უნარზე. პედაგოგიურმა პერსონალმა ამ საკითხზე შედარებით პესიმისტური შეხედულებები გამოთქვა. მათ სწავლის დანაკარგის ანაზღაურების ერთადერთ გზად ის მიაჩნდათ, რომ მოსწავლეებს მასალა თვითონ შეესწავლათ ზაფხულის არდადეგების დროს, თუმცა ამ მიდგომას მაინც სკეპტიკურად უყურებდნენ.

**„...სემესტრის თითქმის ნახევარი ფუჭად გავიდა. თავიდან არ იყო ბევრი შესაძლებლობა განათლების მისაღებად, მაგრამ შემდეგ თანდათან ყველაფერი დალაგდა. წელს განათლების ხარისხი გარკვეულწილად გაიზარდა.“**

(მოსწავლე ბათუმიდან)

მოსწავლეების აზრით, სწავლის დანაკარგის ასაცილებლად სამი გზა არსებობს. პირველი არის რეპეტიტორის დაქირავება გაცდენილი გაკვეთილების და, შესაბამისად, ცოდნის ასანაზღაურებლად. მეორე, ვისაც არ აქვს კერძო რეპეტიტორთან მომზადების საშუალება, სწავლა თვითონ უნდა აინაზღაუროს ზაფხულის არდადეგებზე; და მესამე, უბრალოდ, არსებულ რეალობასთან შეგუება. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი გამოწვევა დიდი ტვირთია ოჯახებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლეებისთვის და შეიძლება უარყოფითად აისახოს მათი მომავლისადმი დამოკიდებულებაზე.

<sup>19</sup> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005 წ.; საქართველოს პარლამენტი; <https://bit.ly/3wV81S>

<sup>20</sup> საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები შეღავათიანი ინტერნეტ პაკეტით ისარგებლებენ; Ministry of Education and Science of Georgia; 2021; <https://bit.ly/3KJrQg0>



„ჩვენ უნდა აგვენაზღაურებინა სასწავლო მასალა, რომელიც შეუსწავლელი დარჩა და ყველაფერი გვესწავლა მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით.“

(მოსწავლე ბათუმიდან)

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმის გამო მასწავლებლებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ შინაარსი, მთავარია საგნობრივი კომპეტენციების გამომუშავება და არა მთელი მასალის შესწავლა. ზოგიერთის აზრით, მოსწავლეებს და, განსაკუთრებით, მასწავლებლებს არ ესმით სასწავლო გეგმის ძირითადი კონცეფცია. თუმცა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ეს დანაკარგად აღიქმება. ეს ასევე აჩენს კითხვას, რა ითვლება სასწავლო გეგმის შინაარსის დანაკარგად - თუ მოსწავლის კომპეტენციები განვითარდა, აბსოლუტურად მისაღებია გარკვეული მასალის გამოტოვება. თუმცა, შემდგომი კვლევა საჭირო იმის დასადგენად, შეძლეს თუ არა მოსწავლეებმა სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი კომპეტენციების განვითარება.

შეჯამებისთვის, დისტანციურ განათლებას, განსაკუთრებით თუ ის არ არის „ჩვეულებრივი მოვლენა“, თავისი შეზღუდვები აქვს. ამიტომ, მოლოდინი, რომ ყველაფერი ზუსტად ისე იქნება, როგორც სკოლის გაკვეთილებზე, გადაჭარბებულია. ასევე შეზღუდულია მოსწავლეებისა და პედაგოგიური პერსონალის თვითკომპენსაციის რესურსები, რომ შეძლონ ინტერნეტში ნავიგაციის უნარ-ჩვევების დამოუკიდებლად შექმნა ან ეკონომიკურ გამოწვევებთან ადაპტირება - მუდმივი ინტერნეტით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესისთვის დამატებითი საათების გამოყოფა. პანდემიის დროს მოსწავლეები, რომლებსაც არ გააჩნდათ შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობა და ინტერნეტი, ვერ იღებდნენ მონაწილეობას ონლაინ გაკვეთილებში, მაგრამ მასწავლებლებმა იცოდნენ, რომ უნდა უზრუნველყოთ მათი ჩართვა სასწავლო პროცესში ნებისმიერ ფასად. მასწავლებელთა მცდელობები, ყველა მოსწავლე ჩაერთოთ დისტანციურ განათლებაში, სავარაუდოდ მოტივირებული იყო იმ მოსაზრებით, რომ ტრადიციული სწავლების განახლების შემთხვევაში ისინი მოსწავლეებს შორის მზარდი უთანასწორობის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ონლაინ სწავლის გამოცდილებამ გაართულა ოჯახების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ფინანსური მდგომარეობა. ტექნოლოგიებზე წვდომა, კომპიუტერული პროგრამების უნარები, ეკონომიკური გაჭირვება და ვალით შექმნილი აღჭურვილობა საბოლოოდ გასცდა ოფიციალური პოლიტიკის კონტროლის ფარგლებს. თუ ეს პრობლემები არ გაანალიზდება და სათანადო პოლიტიკა არ შემუშავდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება და დემოტივაცია სასკოლო საზოგადოებაში.

## 2

## განათლების პოლიტიკა და მასწავლებლების როლი პანდემიის დროს დისტანციურ სწავლებაში

ვინაიდან ეს კვლევა ეხებოდა პანდემიის კონტექსტს, ამ-კარად გამოჩნდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების სტრესი და იმედგაცრუება. პანდემიით გამოწვეულმა იზოლაციამ და ახალმა გამოცდილებამ მოსწავლეები და მასწავლებლები უფრო კრიტიკულად განაწყო განათლების სისტემის მიმართ.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დიდი ხანია არსებობს საერთო გადაწყვეტილების მიღების ნაკლებობა. საქართველოს განათლების სისტემის ისტორიის კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან განათლების პოლიტიკა უმეტესად ვერტიკალური იყო. ერთადერთი გამონაკლისი არის 2004-2005 წლებში დაწყებული რეფორმები, რომელთა ფარგლებშიც შეიქმნა ახალი „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“.<sup>21</sup> განათლების კოალიციის მიერ ჩატარებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ ამ დოკუმენტის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება დიდი დოზით იყო ჩართული. დოკუმენტის შემუშავებისას მოთხოვნილი იქნა უკუკავშირი, რაც საფუძვლად დაედო მიზნების ჩამოყალიბებას და მათ ადაპტირებას ზოგადი განათლების ახალ მოცემულობასთან.<sup>22</sup> მას შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში.

### 2.1 მასწავლებელთა პროფესიული გადარწმუნება, გამძლეობა და სოლიდარობის ნიშნები პანდემიის დროს

ინტერვიუებში მასწავლებლებმა უარყოფითად შეაფასეს გადაწყვეტილების მიღების ფორმები და განათლების სისტემის რეფორმის პროცესი. ითქვა, რომ ჩართული მხარეები და გადაწყვეტილების მიმღები პირები არ იცნობენ სკოლას პრაქტიკულ დონეზე, სკოლის რეალობა და შეხედულებები არ არის შესწავლილი ადგილობრივად და განათლების პოლიტიკას „გარეშე პირები“ ამუშავებენ ან ავითარებენ. შედეგად, განათლების სისტემისთვის

შემუშავებული პოლიტიკა არ შეესაბამება სკოლებში არსებულ რეალობას. უფრო მეტიც, განათლების პოლიტიკა დამორებულია მასწავლებლებისგან.

„ის, რაც დიდი ქალაქისთვის არის განსაზღვრული, სოფელში არ მუშაობს.“

(მასწავლებელი კასპიდან)

საგანმანათლებლო პოლიტიკის კონტექსტში, მასწავლებლებმა შეაფასეს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სავალდებულო განათლება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მოქმედი სქემის მიხედვით, უფროსმა მასწავლებელმა უნდა გაიაროს ტრენინგი მინიმუმ ოცი ინტერაქტიული საათის განმავლობაში, წამყვანმა მასწავლებელმა – არანაკლებ თორმეტი საათი, ხოლო მენტორმა მასწავლებელმა – მინიმუმ ექვსი საათი.

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და, შესაბამისად, ტრენინგების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება არის „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“. 2021 წელს გამოქვეყნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში,<sup>23</sup> რომელიც აფასებდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობას. ანგარიშის მიხედვით, 2017-2019 წლებში ცენტრმა 33 695 924 ლარი დახარჯა. ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, კვლევის ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მასწავლებლებმა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს. ამის მიზეზი რიგ შემთხვევებში იყო განათლების ხარისხი, ხანგრძლივობა, სამუშაო საათების შემდეგ გაკვეთილების დანიშვნა და განათლების დირექტიული ხასიათი, რაც მასწავლებლების აზრით, დაკავშირებული იყო საგანმანათლებლო პოლიტიკაში მონაწილეობის ნაკლებობასთან. პანდემიისა და „გადაუღებელ სიტუაციებში დისტანციური სწავლების“ კონტექსტში, მასწავლებლებს ამ კონკრეტულ საკითხებში უნდა დაეხმაროს გადამზადების მოქნილი შესაძლებლობები.

მიუხედავად ამისა, რესპონდენტებმა გამოთქვეს უკეთესი ტრენინგებისა და ტრენინგის მასალების მიღების

21 „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობის დადგენილება; 2004 <https://bit.ly/3cJvIII>

22 სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020; გვ.62-63; ქანტურია, ქადაგიძე, მელიქაძე; <https://bit.ly/3wUPlga>

23 State Audit Office of Georgia. (2021, March). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017–2019 წლების ეფექტიანობის ანგარიში; <https://bit.ly/3qdfSSu>

სურვილი, რაც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს. მასწავლებლებმა ისაუბრეს თვითგანვითარების მნიშვნელობაზე, არა სავალდებულო ტრენინგის, არამედ პროფესიული უნარების გაუმჯობესების შესაძლებლობების კუთხით.

ონლაინ სწავლების დროს მასწავლებელთა სამუშაო პირობები გაუარესდა, დატვირთვა გაიზარდა და განათლების ექსპერტებმა დაიწყეს მასწავლებელთა „პროფესიული გადაწვის“ რისკის განხილვა. მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტრომ განაგრძო მასწავლებლებისთვის სავალდებულო სამსახურებრივი გადამზადების შეთავაზება, რის გამოც ისინი ხშირად იყვნენ გადატვირთული. გარდა ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში გაგრძელდა შეხვედრები პროექტის ფარგლებში – „ახალი სკოლის მოდელი“, პანდემიური რეალობის გათვალისწინების გარეშე.

„იყო დრო, როცა კვირამი 7 დღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, ვესწრებოდი ტრენინგს. ფიზიკურად შეუძლებელი იყო თუნდაც ერთი დღის დაგეგმვა. ორშაბათიდან კვირამდე ტრენინგს ვესწრებოდი.“

(მასწავლებელი ქობულეთიდან)

„მასწავლებლის გადაწვა“ არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც იწვევს გადაღლას, გაუცხოებას, პედაგოგის მუშაობისა და თვითშეფასების დაქვეითებას. მასწავლებლები პანდემიის დროს გაზრდილ დატვირთვას უკავშირებენ ზოგად მოთხოვნებსა და უარეს სამუშაო პირობებს. ეს უკმაყოფილება გაიზარდა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ. მასწავლებელთა გადაწვას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, მაგალითად, სამუშაო ძალიდან კვალიფიციური პერსონალის გადინება. კვლევის დროს ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა მასწავლებლების მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. ზოგიერთმა ისიც კი განაცხადა, რომ არავის ურჩევს მასწავლებლობას.

„...გადაღლილები ვართ, არავის ვურჩევდი მასწავლებლობას. თუმცა სწორედ მე ვქადაგებდი, ყველას ვუბნებოდი რა კარგი იყო და მოვუწოდებდი მასწავლებლის კარიერა აერჩიათ. რა არის კარგი მასწავლებლობაში, კომპიუტერთან 8 საათის განმავლობაში ჯდომა? მინდა, ეს აღარასდროს გავაკეთო, რადგან მხედველობა დამიქვეითდა და ძველი სათვალევ აღარ მერგება.“

(მასწავლებელი ქობულეთიდან)

„მასწავლებელთა პროფესიული გადაწვის“ საფრთხე და შემდგომ სისტემიდან წასვლა არის თეორიული ჩარჩო, რომელიც ნაკლებად შეესაბამება ქართულ რეალობას. თითქმის შეუძლებელია და წარმოუდგენელია მომუშავე მასწავლებლებმა უარი თქვან სოციალურ სტატუსზე და სარგებელზე, რაც ამ პროფესიას მოაქვს. ქართულ კონტექსტში, მასწავლებლობა ნიშნავს ხელფასის სტატუსის ქონას, რომელსაც თან ახლავს გარკვეული სოციალური შეღავათები და ჯანმრთელობის დაზღვევა, მცირე, მაგრამ სტაბილური შემოსავალი და პოტენციურად, რეპეტიტორობიდან მიღებული დამატებითი ფინანსები.

შესაბამისად, მასწავლებლები იძულებულნი არიან დათანხმდნენ დაძაბული და არარეგულარული სამუშაო საათები და დაიცვან არარეალური მითითებები. საქართველოში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის (21%, 2021 წ.) და რთული სამუშაო პირობების გათვალისწინებით, ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება: ან დასვენება და მიმდინარე, ან მუშაობა და დასვენების არარსებობა (მიფენი, 2014). გამონაკლისი არც მასწავლებლები არიან.

მასწავლებლებთან საუბარი აჩვენებს, რომ იმედგაცრუებას და უნდობლობას არა მხოლოდ მათ მიმართ გრძნობენ, ვინც განათლების პოლიტიკას და ჩარჩოს ქმნის, არამედ ფართო საზოგადოების მიმართაც: მკვლევარებს, მედიის, ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და მთლიანად საზოგადოების.

„ყველაზე ცუდი ის არის, რომ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, რომლებიც ყველაზე მეტად გვაკრიტიკებენ, არაპროფესიონალები არიან, თან იმდენად ცუდები, რომ მათგან არანაირ კრიტიკას არ მივიღებ.“

(მასწავლებელი ქობულეთიდან)

ქართულ საზოგადოებაში ძალიან კრიტიკული დამოკიდებულებაა მასწავლებლების მიმართ. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ საგანმანათლებლო პოლიტიკის ხარვეზებში მასწავლებლების დადანაშაულება მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, სწორედ ამის გამო მათ მოსაზრებებს ყურად არ იღებენ. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ისინი აკრიტიკებენ განათლების პოლიტიკას, რადგან ამ პოლიტიკის შექმნაში კი არ მონაწილეობენ, არამედ მხოლოდ მისი შემსრულებლები არიან. რთული სამუშაო პირობები, დაბალი ანაზღაურება, ზოგადი სოციალური და ეკონომიკური ფონი, საგანმანათლებლო რეფორმებისა და მიდგომების სწრაფი ცვლილებები, რეფორმების კასკადი და საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისას რეალური საჭიროებების უგულვებლყოფა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ პრობლემებისა, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს განათლების სისტემის რეალობას. ამ ჩამონათვალი მასწავლებლები მხოლოდ ერთ ადგილს იკავებენ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები და აუდიტის ანგარიში აჩვენებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსური და ადამიანური რესურსები მნიშვნელოვანია. ისინი აჩვენებს, ამ მასშტაბის პროგრამები არ პასუხობს იმ რეალობას, რომელსაც მასწავლებლები ცდილობენ მოერგონ, მათ შორისაა: პანდემიით გამოწვეული სტრესი, დისტანციური სწავლება, ტექნოლოგიური ინოვაციები და გადატვირთული სამუშაო გრაფიკი. სწორედ ამის გამო, მასწავლებლები აკრიტიკებენ უწყებების ინიციატივებს. ისინი მიიჩნევენ, რომ განათლების სამინისტროს მოთხოვნები რეალობას არ შეესაბამება. მასწავლებელთა დასაქმების პერიოდში ჩატარებული გადამზადების პროგრამები არ აკმაყოფილებს მათ ნამდვილ საჭიროებებს და მისაღწევი მიზნები აღემატება მათი მოსწავლეების მატერიალურ ან სხვა შესაძლებლობებს. ისინი გაუცხოებულნი არიან საგანმანათლებლო პოლიტიკასთან და, განსაკუთრებით, განხორციელებულ რეფორმებთან, რადგან



აქტიურად არ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვაში. ისინი ვერ ხედავენ ხელშესახებ, მიმდინარე ცვლილებებს, რაც ზრდის მათ დატვირთვას, ხოლო სამუშაოს უფრო ბიუროკრატიულს ხდის, ვიდრე მოსწავლეზე ორიენტირებულს.

## 2.2 მასწავლებელთა რთული სამუშაო პირობები, გაზრდილი ამოცანები და თვითორგანიზება დისტანციური სწავლების პირობებში

პანდემიამდე ტექნოლოგია განიხილებოდა, როგორც სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების საშუალება და არა როგორც ცოდნის გენერირებისა და გადაცემის მთავარი ინსტრუმენტი. კოვიდ-19-მა და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია რადიკალური ცვლილებები სასწავლო პროცესში. დისტანციური განათლების ფონზე წარმოქმნილი ახალი რეალობა ძირეულად განსხვავდება ტრადიციული სწავლის მრავალი კონცეფციისგან; ის მეტწილად დაკავშირებულია სასწავლო პროცესში სივრცის, დროისა და მოქმედების ერთიანობის ცვლილებასთან. დისტანციურ სწავლებაზე უეცარმა გადასვლამ განათლებაში „მოკური ეფექტი“ გამოიწვია, რაც შემდგომში გამოვლინდა არათანმიმდევრულ პროცესში, რომელზეც მასწავლებლებს ინდივიდუალურად უწევდათ რეაგირება. მოსწავლეებთან კომუნიკაციის მიზნით მასწავლებლებს სწრაფად უნდა აეთვისებინათ ონლაინ პლატფორმები და ელექტრონული პორტალები, რომლებზეც მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ახალმა რეალობამ მასწავლებლები აიძულა გამოეყენებინათ თვითორგანიზებული სოციალური პრაქტიკა. ასეთი პროცესი შეიძლება ორგანულ სოლიდარობად ჩაითვალოს, მაგრამ საზღვრების შემცირების ნაცვლად, როგორც ეს ჩვეულებრივ სოლიდარობის დროს ხდება, პროცესმა საყოველთაო ფორმა მიიღო (დურკჰაიმი; 1984:68-86). თვითორგანიზებული პრაქტიკა შეიძლება განვითარდეს ცვალებად სოციალურ გარემოზე დაყრდნობით. ფუნქციონალისტური ინტერპრეტაციისგან განსხვავებით, რომელიც აღწერს საზოგადოების რეპროდუქციას, სოციალური თვითორგანიზაცია ეხება ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავს ცვალებად გარემოში თანამშრომლობის, მონაწილეობის, სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის პრაქტიკას. თვითორგანიზაციის ასეთი პოლიტიკური დეფინიცია წარმოქმნის სოციალურ პრაქტიკას, რომელიც დისტანცირებულია სისტემისგან (მათ შორის, საკანონმდებლო/ადმინისტრაციული ჩარჩოსგან), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ცვალებად გარემოზე გავლენის მოხდენის სურვილით, ან მისი შეცვლის აუცილებლობით.

მასწავლებლებმა ისაუბრეს დისტანციურ სწავლებაზე და გაიხსენეს ფაქტები, როდესაც ეძებდნენ სხვადასხვა გზას სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად. პირველ რიგში, მასწავლებლებმა, თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების გზით, აითვისეს სასწავლო პროცესის დისტანციურად გაგრძელებისთვის საჭირო ელექტრონული პლატფორმები. სხვადასხვა რეგიონის მასწავლებლებმა ასევე გაიხსენეს, რომ დამოუკიდებლად,

პროფესიული მხარდაჭერის გარეშე შეისწავლეს პროგრამა Microsoft Teams.

„როდესაც Microsoft Teams-ის გამოყენება დაიწყო, არაფერი ვიცოდით ამ პლატფორმის შესახებ. როცა ის პირველად შემოგვთავაზეს, მოსამზადებელი ტრენინგის კი არ გავივლია. გვიან დამემდე სატელეფონო კავშირზე ვიყავით ჩვენს კოლეგებთან. ძალიან დაბნეულები ვიყავით, რადგან არ ვიცოდით რა უნდა გავაკეთებინა და ერთმანეთს ვეკითხებოდით. ტრენინგის დაწყების დროისთვის, ჩვენ უკვე თვითონ ვიყავით გადამზადებულები.“

(მასწავლებელი თბილისიდან)

ჩვენ დავინახეთ თვითორგანიზება და ურთიერთსოლიდარობა არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე და სკოლაში, არამედ ვირტუალურ სივრცეშიც. პანდემიისა და დისტანციური სწავლების ადრეულ ეტაპზე, სანამ სამინისტრო სკოლებს დეტალურ ინსტრუქციებს დაუგზავნიდა, ჯგუფური მიმოწერა და ფეისბუქ ჯგუფები გახდა ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის, მასწავლებელთა მუშაობის ორგანიზების, ცოდნის გაზიარების, ერთმანეთის წახალისებისა და დახმარების პლატფორმა.

„...ჩვენ რამდენიმე ჯგუფში ვართ გაწევრიანებული ფეისბუქზე. ერთ-ერთ ჯგუფში ვისწავლე Microsoft Teams-ის გამოყენება. ყოველ ჯერზე, როცა შეკითხვა მაქვს, ჯგუფში შევდივარ და ვიღებ შესაბამის ინფორმაციას. ვგულისხმობ, რომ იქ ვიღებ პასუხს ჩემს პრობლემაზე. იქიდან ვსწავლობთ, მერე კი ცოდნას სხვებს ვუზიარებთ. სხვა რა ვთქვა, ეს თანამშრომლობაა, ერთმანეთისგან ვსწავლობთ. ასე ვისწავლეთ Teams-ის პროგრამაც.“

(მასწავლებელი ქობულეთიდან)

იმისთვის, რომ მოსწავლეებისთვის მიეცათ წვდომა დისტანციურ განათლებაზე, მასწავლებლებმა მიიღეს ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, ძირითადად, საკუთარ ფინანსურ და დროის რესურსებზე დაყრდნობით. მაგალითად, მასწავლებლები საკუთარი ხარჯებით ურევად იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სახლში არ ჰქონდათ ინტერნეტი ან კომპიუტერი. გარდა ამისა, პედაგოგებმა მოსწავლეებს გადაურიცხეს თანხა ინტერნეტპაკეტის შესაძენად, რათა მათ შეეძლებოდათ დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობა.

„ბევრ ჩემს კოლეგას შევხვდი, რომლებმაც იგივე გააკეთეს თავიანთი მოსწავლეებისთვის; მე არ ვარ ერთადერთი, ვინც ეს გააკეთა. ჩემს მოსწავლეებს ფული გადავურიცხე, რათა მათ გაკვეთილზე დასასწრებად მესენჯერი მაინც გამოეყენებინათ... მყავდა კარგი მოსწავლეები, რომლებსაც სწავლა სურდათ, მაგრამ ამის საშუალება არ ჰქონდათ. მათ რამდენჯერმე გადავურიცხე თანხა, რომ გაკვეთილებზე დასწრების საშუალება ჰქონოდათ.“

(მასწავლებელი ქუთაისიდან)

პანდემიის დროს მოსწავლეების მიმართ დიფერენცირებული მიდგომის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სკოლებმა და მასწავლებლებმა, ასევე სამინისტრომ, პირველ

რიგში უნდა გაითვალისწინონ ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, მასწავლებლების სამუშაო გრაფიკი და ოჯახის წევრების სასკოლო ცხრილი. ამ საკითხებმა ხაზი გაუსვა სწავლების მნიშვნელოვან როლს, რომელიც ბევრად სცილდება ზოგადი განათლებისა და ცოდნის გადაცემის ფუნქციას. ამავდროულად, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განათლების მისაღებად გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

დისკუსიებში მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს იმ პოზიტიურ გამოცდილებაზე, რომელიც ონლაინ სწავლის დროს მიიღეს. კვლევაში ამას ვუწოდეთ „თვითორგანიზაციის პრაქტიკა“, რომელიც იყოფა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი ოჯახების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობად და სასკოლო კულტურად. ამან მასწავლებლებში მეტი თავდაჯერებულობა და პატივისცემა გააჩინა საკუთარი პროფესიის მიმართ, ვინაიდან მშობლებმა და მოსწავლეებმა დაინახეს, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი გადაეღებინათ ონლაინ სწავლების ბარიერები. მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა ამ პრაქტიკამ მატერიალური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა მასწავლებლებისა თუ მუშობლებისგან, ის დადებითად იქნა შეფასებული. პანდემიის დროს დაწყებულმა დისტანციურმა სწავლებამ, ბარიერების სიმრავლემ და სკოლის დროებითმა შეზღუდვამ საბოლოოდ გააძლიერა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კავშირები. ერთმანეთის საჭიროებების, სოციალური მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ შორის ბუნებრივად განვითარდა სოლიდარობა.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სოლიდარობის გრძნობა გაიზარდა, ზოგიერთი საკითხი კვლავ პრობლემად რჩება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მასწავლებლებისა და მოსწავლეების რეალური მონაწილეობა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში. არსებული ცვლილებები ფორმალური ხასიათისაა და არ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს, მის რეალობას, განსხვავებას ქალაქებსა და სოფლებს თუ მცირე და დიდ სკოლებს შორის და სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებს.

## დასკვნა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში უთანასწორობა ახალი მოვლენა არ არის. სხვადასხვა დროს შემუშავებულმა ოფიციალურმა პოლიტიკამ ნაწილობრივ აჩვენა არსებული უთანასწორობა და განსაზღვრა შესაბამისი ამოცანები პრობლემის გადასაჭრელად. 2020 წლის გაზაფხულზე დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ, ერთი მხრივ, მთელი სიმძაფრით გამოავლინა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული უთანასწორობა და, მეორე მხრივ, შექმნა უთანასწორობის ახალი ფორმები.

კერძოდ, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გეოგრაფიულმა მდებარეობამ (როგორცაა, დედაქალაქი, დიდი ქალაქები, რეგიონები, მაღალმთიანი დასახლებები) გა-

ვლენა მოახდინა ონლაინ სწავლებაში მათ ჩართულობაზე, რადგან ქვეყანაში ინტერნეტის დაფარვა საკმაოდ დაბალია. ეს მიუთითებს უთანასწორობაზე მდებარეობის მიხედვით. უთანასწორობის კიდევ ერთი ფორმა იყო „ციფრული დაყოფა“. ზოგიერთ მოსწავლეს ან არ გააჩნდა დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, ან თუ ჰქონდა, არ იყო საკმარისი ხარისხიანი განათლების მისაღებად. უთანასწორობის ტრადიციული ფორმების გარდა, პანდემიამ გაამწვავა პრობლემა იმ ოჯახებში, რომლებშიც ბევრ ბავშვს უწევდა ონლაინ გაკვეთილებში მონაწილეობა. ონლაინ სწავლების პროცესმა აჩვენა საბინაო ინფრასტრუქტურის გავლენა განათლების მიღების შესაძლებლობაზე: ცუდი საცხოვრებელი პირობები, პირადი სივრცისა და საგანმანათლებლო რესურსების (როგორცაა, საოჯახო ბიბლიოთეკა, დამხმარე ან სავალდებულო წიგნები და სხვა საგანმანათლებლო ლიტერატურა) ნაკლებობა უარყოფითად აისახა მოსწავლეების ჩართულობაზე. საბოლოოდ, კვლევამ დაადგინა, რომ უთანასწორობის ახალი ფორმების გაჩენაზე გავლენას ახდენს მოსწავლეების ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის მშობლების განათლება, დასაქმება, შემოსავალი და სამუშაო პირობებიც კი.

პანდემიამდე სკოლებს შეეძლოთ ოჯახებისა და მოსწავლეების დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის კომპენსირება არსებული უთანასწორობის შესამცირებლად. პანდემიის დროს გადაადგილების შეზღუდვამ შეამცირა წვდომა სასკოლო ინფრასტრუქტურაზე. სკოლებმა დაკარგეს უნარი შეემცირებინათ მოსწავლეებს შორის უთანასწორობა, ამიტომ ოჯახებს მოუწიათ ამ როლის შესრულება.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ზოგად განათლებაში არსებული უთანასწორობის პრობლემა მასწავლებლებზეც აისახება. პედაგოგთა დიდ ნაწილს არ გააჩნდა როგორც ონლაინ მუშაობისთვის საჭირო ციფრული უნარები, ასევე გაკვეთილის ჩატარებისთვის აუცილებელი ტექნიკური რესურსები. მასწავლებლებს ამ დილემებთან გამკლავება დამოუკიდებლად და ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე უწევდათ, რამაც წამოჭრა პროფესიული გადაწყვეტილების პრობლემა. პანდემიის დასაწყისში დანერგილი სავალდებულო ონლაინ სწავლების პირობებში მასწავლებლებს, არსებულის გარდა, ახალი ფუნქციები და ამოცანები დაეკისრათ. მათ ისევ უნდა შეესრულებინათ „ტრადიციული მასწავლებლის“ როლი და გადაეცათ ცოდნა მოსწავლეებისთვის. ხოლო „ონლაინ მასწავლებლის“ ახალი როლი მათგან მოითხოვდა ტექნოლოგიების სწრაფად დაუფლებას, თვითორგანიზაციის გზით ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებას, არასამუშაო დროს საკუთარი ტექნოლოგიური უნარების განვითარებას და ახალ რეალობაზე მორგებას. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა დიდი ნაწილის ჩართვა მასწავლებელთა პირადი ინიციატივის წყალობით გახდა შესაძლებელი, პედაგოგების თვითორგანიზება საკმარისი არ არის უთანასწორობის არსებული თუ ახალი ფორმების შემცირებისთვის ან ოჯახების დაბალი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის კომპენსირებისთვის.

ინდივიდუალური ძალისხმევა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პასუხი ზოგადი განათლების სისტემურ გამოწვევებზე. უფრო მეტიც, საჭიროა ახალი პოლიტიკა სწავლის დანაკარგებზე, ასევე კოვიდ-19-ით გამოწვეული უთანასწორობის ძველ და ახალ ფორმებზე საპასუხოდ.



## 3

## კვლევის მიმოხილვა

როგორც კვლევამ აჩვენა, პანდემიის გავლენა ზოგადი განათლების სფეროში არ მოიცავს მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შემცირებას და განათლების ხარისხის გაუარესებას. პანდემიამ ზოგადი განათლების სისტემაში წარმოშვა ახალი ფორმის უთანასწორობები, გავლენა მოახდინა მოსწავლეების ფსიქო-ემოციური განვითარების პროცესზე და მასწავლებლების თუ მშობლების შრომით და საყოფაცხოვრებო პირობებზე. ამდენად, კვლევაზე დაფუძნებით მომზადდა ექსპერტთა მოსაზრებები სამართლის, განათლების მეცნიერების და ფსიქოლოგიის მიმართულებით, რაც მკითხველს საკითხს უფრო მეტად ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან დაანახებს.

### 3.1 განათლების სისტემის გამომწვევები პანდემიის პერიოდში ნათია მუჯანაძე

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხიან განათლებაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ძალისხმევა გარკვეულ მიზნებსა და ამოცანებს ადგენს, პანდემიის შემდეგ განათლების სფეროში წარმოქმნილმა გამოწვევებმა ყოველგვარ პროგნოზს გადააჭარბა. როგორც სხვადასხვა მრავალმხრივი მონაცემი აჩვენებს, COVID-19-ის პანდემიამ დაახლოებით 200 სახელმწიფოში 1,5 მილიარდი მოსწავლე დატოვა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების გარეშე.<sup>24</sup> გაეროს შეფასებით, პანდემიამ გაანადგურა ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოს შედეგები.<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის განათლებაში უთანასწორობა აქამდეც არსებობდა, პანდემიის შემდეგ გამოწვევებს წააწყდა ყველა მასწავლებელი, სტუდენტი და მშობელი, მიუხედავად ქვეყნის შემოსავლებისა და გლობალური სტატუსისა. თუმცა, მიუხედავად შეფერხების ტენდენციების მსგავსებისა, დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად გადადგმული საპასუხო ქმედებები არის ის სფერო, სადაც ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, უფრო მდიდარმა ქვეყნებმა, შედარებით ძლიერი განათლების სისტემებით, პანდემიის

შედეგების უფრო ეფექტურად დაძლევა დაიწყეს და გარკვეულწილად, მოახერხეს განათლებაში მზარდი უთანასწორობის ზრდის საწინააღმდეგო სათანადო ზომების მიღება. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, პანდემიამ ე.წ. განვითარებად ქვეყნებში განათლების სექტორს გაცილებით სერიოზული პრობლემები შეუქმნა, რამდენადაც მწირი რესურსების, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო განათლებაში ხარჯების შემცირების და შედარებით შეზღუდული კომპეტენციებისა და შესაძლებლობების ფონზე გადაიდო სკოლების გახსნისა და ნორმალური ფუნქციონირების პროცესი.<sup>26</sup>

როგორც პროფესიული და აკადემიური ჯგუფების მტკიცებულებები მიუთითებს, ძლიერი და სუსტი განათლების სისტემების მქონე ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები საკმაოდ კომპლექსურია. იმ ქვეყნებმა, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს მაღალი ავტონომიის ხარისხი აქვთ და სადაც ძლიერია კავშირი კვლევასა და პრაქტიკას შორის, მეტად მოახერხეს საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად კორექტირება, რომელიც განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის პრინციპებს აძლიერებდა. თუმცა, სუსტი განათლების სისტემების მქონე ქვეყნები, მათ შორის, საქართველო, აღმოჩნდა კიდევ უფრო გაუარესებული პრობლემების, გაზრდილი რისკებისა და ახალი გამოწვევები წინაშე, როგორც განათლების სისტემაში ხელმისაწვდომობის, ისე ხარისხის გაუარესების მიმართულებით. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქო-ემოციური პრობლემები გავლენას ახდენდა მასწავლებლებისა და მთლიანად, სასკოლო საზოგადოების მზაობაზე. სამწუხაროდ, პანდემიის პერიოდში განათლების სისტემა და მასში არსებული პრობლემები ვერ მოექცა როგორც სახელმწიფოს, ისე, საზოგადოების პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში.

ემპირიული მონაცემების და ინფორმაციის სიმწირის, განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და ფუნქციონირების გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი მექანიზმების არარსებობისა და სისტემაში ღიაობის და მტკიცებულებების დეფიციტის ფონზე, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სამოქალაქო ჯგუფების მოტივაცია, ფართო სოციო-ეკონომიკური პარამეტრების მუქზე შეისწავლონ განათლებაში მიმდინარე საკითხების დინამიკა, პანდემიის შედეგები და გამოწვევები. წინამდებარე კვლევა

<sup>24</sup> Distance Learning Solutions; UNESCO, 2020; <https://bit.ly/3RcCHRY>

<sup>25</sup> Sustainable Development Goals, UN, 2021; <https://bit.ly/3KLQ3Ck>

<sup>26</sup> Education: from school closure to recovery; <https://bit.ly/3Qg87FQ>



სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს. როგორც კვლევის ავტორები მიუთითებენ, ამ ინიციატივის მიზანია განათლების სისტემაში მზარდი უთანასწორობის ხაზგასმა, მისი სპეციფიკური ფორმების იდენტიფიცირება და ამავდროულად, უთანასწორობის შემცირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ინიციატივების ხელშეწყობა.

ფართო სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გააზრებასთან ერთად, კვლევა ხაზს უსვამს პანდემიის შედეგად დამგარი სასწავლო დანაკარგების სირთულეს. ამასთან, მონაცემები საყოფაცხოვრებო პირობების და მისი დისტანციურ განათლებასთან მიმართების შესახებ სხვა მკვლევრებისთვის ქმნის აღნიშნული საკითხების შესახებ სამომავლო მუშაობის მდგრად წინაპირობებს. სამწუხაროდ, როგორც აღმსრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების რიტორიკა დისტანციური განათლების შესახებ, ძირითადად, ფოკუსირებულია მხოლოდ მიღწევებზე. მათ რიტორიკაში უგულვებელყოფილია ის რიგი გამოწვევები, რომლის წინაშეც დისტანციურმა განათლებამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი ოჯახები დააყენა.

კვლევაში აღწერილი კონტექსტუალური ფაქტორებთან მიმართებით გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

- დისტანციური სწავლებისას წარმოქმნილი თვითორგანიზების, სოლიდარობისა და ურთიერთმხარდაჭერის პრაქტიკები მიუთითებს, რომ სასკოლო თემებში არსებობს რესურსი, რომელზე დაფუძნებითაც შესაძლებელია დაიგეგმოს რიგი ინტერვენციები როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე;
- მოსწავლეთა მოწყვლადობის რისკები არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, არამედ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ოჯახებში მოსწავლეების მხარდაჭერა, შინამეურნეობების ზომა, სკოლის მოსწავლეების რაოდენობა სახლში, ოჯახური სტრუქტურა და ხელმისაწვდომობა დახალანსებულ კვებაზე, ასევე ახდენს გავლენას მოსწავლეებზე. შედეგად, სამომავლო მიზნობრივი სოციალური ინტერვენციები უნდა დაეფუძნონ სწორედ ამ ასპექტების ანალიზს;
- სასკოლო კლიმატი და ცხოვრება ფართო საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის გახდა უფრო მეტად ხილული, რამაც გაზარდა მასწავლებლების დაფასების და მათი შრომის აღიარების მასშტაბი. კვლევა ასევე საუბრობს იმ ფუნქციებზე, რომელსაც სკოლა მოწყვლადი მოსწავლეებისთვის ასრულებდა.

კვლევა აიდენტიფიცირებს იმ საკითხებს, რომლებიც სამომავლოდ საჭიროებს უფრო ღრმა შესწავლას, ანალიზს, განხილვასა და რეაგირებას, როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. წარმოდგენილი კვლევა განათლების სფეროს იმგვარი გაგების დამკვიდრებას ეხმარება, რომელიც არ არის მხოლოდ სასწავლო პროცესით შემოსაზღვრული, არამედ მას განიხილავს უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციების ქრილში.

### 3.2 განათლების ფუნქციის შესახებ ნინო ნიკოლეიშვილი

პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა განათლების სისტემაში არსებული რეალობა ფუნდამენტურად შეცვალა. სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტიური, რომელიც ინდივიდის სოციალურ თუ კულტურულ სტატუსს უკავშირდება და ამავდროულად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების იდენტობის ჩამოყალიბებასა და სოციალიზაციის პროცესში.

ადამიანისთვის სწავლა ფუნქციონალური ტენდენციაა, ფუნქციონალური ტენდენციის ცნება შინაგან ძალასა სურვილს უკავშირდება და მოიცავს ქვევებს, რომლებიც არა მარტო გარეგანი მოთხოვნისთვის ზემოქმედებით, არამედ ავტონომიურადაც აღმოცენდება ადამიანში, სწორედ ასეთია სწავლის ცნებაც ბავშვისათვის. მეორეს მხრივ, სწავლას როგორც ქვევას გამოწვევა, გააქტიურება სჭირდება და დამოკიდებულია გარემოზე, უზნაძე დაუპირისპირდა გავრცელებულ იდეოლოგიას სწავლა სწავლების შესახებ, სადაც სწავლა და შრომა შედეგითა და პროდუქტით უნდა ყოფილიყო შეფასებული. ქვევათა მსგავსი ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე მან განათლებისადმი მიდგომა ბავშვზე, ინდივიდის ძალების რეალიზებაზე მიმართულ პროცესად ჩამოაყალიბა და განათლების სოციალური ფუნქცია გახადა აქტუალური.

სწავლა რომ სოციალური პროცესია, ამას განათლებისა და ბავშვის განვითარების შესახებ არსებული სხვა წამყვანი თეორიებიც ადასტურებს. ლევ ვიგოტსკის სოციოკულტურული თეორიის თანახმად, საზოგადოება ინდივიდის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს დებს. სწავლა ადამიანისთვის სოციალური პროცესია. თეორიის ჩარჩოს მიხედვით მშობლები, აღმზრდელები, თანატოლები და კულტურა ერთობლივადაა პასუხისმგებელი ადამიანის შემეცნებითი უნარების თუ ფსიქიკური ფუნქციების განვითარებაზე. სწავლის საფუძველი სწორედ ადამიანებთან კომუნიკაციაში ამოიზრდება და შემდეგ ინტეგრირდება ინდივიდუალურ, პიროვნულ დონეზე. ვიგოტსკიმ განსაზღვრა, რომ ბავშვი სკოლაში, დაკვირვებით აქტიურად სწავლობს და ვითარდება და შესაბამისად გარემოსა მასწავლებელს ბავშვის შემეცნებითი და პიროვნული უნარების რეალიზებაში გადამწყვეტი როლი დააკისრა, მასწავლებელს დაევალა ბავშვის შეფასება მისი ინდივიდუალური ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, იმისთვის რომ ინდივიდუალური პრაქტიკული მიდგომები გამოეყენებინა თითოეულ ბავშვთან. მსგავსმა თეორიებმა სასწავლო პროცესი ინდივიდის საჭიროებაზე ორიენტირებული გახადა და შეცვალა სწავლა სწავლების პროცესისადმი მიდგომები.

პანდემიურმა ვითარებამ კვლავ აქტუალური გახადა საუბარი იმაზე, რამდენად უზრუნველყოფს განათლების სისტემა არა მხოლოდ განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, არამედ იმ საყოველთაოდ მიღებული საგანმანათლებლო, პედაგოგიკური პრაქტიკის ხელშეწყობას, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ძალებს, მორგებულია მის საჭიროებებს, ხედავს მოსწავლეს კომპლექსურად და აკადემიური ცოდნის გადაცე-



მასთან ერთად ხელს უწყობს განათლების სხვა მიზნების რეალიზებას, როგორცაა განათლების სოციალური ფუნქცია.

სკოლაში მოსწავლის სტატუსით ბავშვი ახალ სოციალურ როლს იძენს, აყალიბებს ოჯახისაგან განსხვავებულ ინტერპერსონალურ კავშირებს, ეცნობა ფორმალურ გარემოს და სწავლობს საზოგადოებრივ წესებსა და რუტინასთან თანაცხოვრებას, დაწყებით კლასებში ვითარდება ბაზისური შემეცნებითი და აკადემიური უნარები, ბავშვის პოტენციალი, პიროვნული მახასიათებლები, სწორედ ამ სივრცეში იწყებს პირველად გამოვლინებას. ასაკის მატებასთან ერთად არა მხოლოდ ბავშვების შემეცნებითი უნარები ვითარდება, ფორმირებას იწყებს ბავშვის იდენტობაც. საშუალოდ იმ თორმეტი წლის განმავლობაში, რომელსაც ბავშვი სასკოლო სივრცესა და საზოგადოებაში ატარებს, ყალიბდება სოციალურ და ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული უნარები (მეგობრობა, თანამშრომლობა, კონფლიქტის გადაჭრა) აბსტრაქტული აზროვნება, ამ პერიოდში იცვლება მოსწავლეთა მორალური განვითარების სტადიებიც. ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა მოსწავლის მხარდაჭერას აკადემიური ცოდნის გადაცემის გარდა, დამატებით სწორედ ამ მიმართულებებით უნდა ითვალისწინებდეს.

სკოლა უნივერსალური დიზაინით სწავლების პროცესისა და ცოდნის მიღებისთვის ორგანიზებული გარემოა, რაც სწავლისადმი განწყობასა და მზაობას ქმნის, მოსწავლეები ძირითადად დამოკიდებულნი არიან სკოლის სტრუქტურაზე, მასწავლებლებზე და მათ პროფესიულ ცოდნაზე, სახლებში სასწავლო პროცესის გადანაცვლებამ მოზარდებისგან საკუთარი დროის თვითორგანიზების, ემოციური თვითრეგულაციის და სხვა ისეთი უნარების განვითარების საჭიროების წინაშე დააყენა, რომელთა განვითარებასაც მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით ახერხებდნენ, ხოლო დამოუკიდებლად და დახმარების გარეშე, ამ უნარების განვითარება მათ მენტალურ მზაობას არ შეესაბამება.

სკოლის როლისა და გამოკვეთილი ფუნქციის გააზრებით საგანმანათლებლო სტრუქტურასა და მოსწავლეებს შორის პასუხისმგებლობა ნაწილდება, სკოლის ბაზაზე არსებობს კონსტრუირებული და მკაფიო განსაზღვრებები, რომელიც კანონზომიერია. ამ სტრუქტურის რღვევა (სკოლის ფიზიკური სივრცისა და პირისპირ კომუნიკაციაზე წვდომის დაკარგვა) კი მოსწავლეს ემოციური ვალდებულების წინაშე აყენებს, თავად შეიქმნას გარემო, თავად უზრუნველყოს განვითარება, რადგან სახელმწიფოს არ გადაუდგამს ემპათიური ან გამამხნევებელი ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეებს სასწავლო დანაკარგზე ღელვას ან უსამართლობის განცდას შეუმცირებდა.

ოჯახის წევრების ჩართულობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებას განათლების მიღებისას, თუმცა კირიზისული სიტუაციის ფონზე, როცა ოჯახები მძიმე ეკონომიკური გამოწვევის წინაშე დგებიან, მშობლები ვერ გაუწევენ შვილებს დახმარებას, რომელიც თავისმხრივ გარკვეული ცოდნისა და ფსიქიკური მზაობის არსებობასაც გულისხმობს.

დიფერენცირებული სწავლების მიდგომები და სასკოლო ფიზიკური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსი მასწავლებლებს საშუალებას აძლევთ განსხვავებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი გარემო უზრუნველყონ, პანდემიის პირობებში კი ისეთი ჯგუფები, როგორცაა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები განსაკუთრებულად მძიმე დანაკარგის წინაშე აღმოჩნდნენ. პანდემიამ გამოააშკარავა, რომ მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებაში გასაძლიერებელია მშობელთა რგოლი, მშობლები, რომელთაც არ აქვთ ცოდნა, როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებას უკავშირდება მარტონი აღმოჩნდნენ. მათთვის განსაკუთრებით არაეფექტიანი აღმოჩნდა დისტანციური სწავლება, რადგან ხშირად მოსწავლეთა უნარებიდან გამომდინარე შეუძლებელი ხდება მათი განათლების დისტანციურ პროცესში ჩართვა. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან გაკეთდა ცალკეული დაშვებები მოსწავლეთა პირისპირ სწავლებისთვის პანდემიის პირობებში, რეგულაციების სრული დაცვით, სკოლებს ჰქონდათ საშუალება უზრუნველყოთ სსმ მოსწავლეების პირისპირ სწავლება. აღნიშნული ინიციატივა არ აღმოჩნდა ეფექტიანი, რადგან სსმ მოსწავლეები დაავადებების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, რაც მშობლებს არჩევანს ჯანმრთელობასა და განათლებას შორის აკეთებინებდა.

მშობლების ფსიქოგანათლებაზე და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა პანდემიამდეც აქტუალური საკითხი იყო, მათ ფსიქოგანათლებაზე უზრუნველყოფა ძირითადად სისტემაში მომუშავე მასწავლებლებს ეკისრებათ, რადგან სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობას სწორედ მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან პოზიტიური კომუნიკაცია განსაზღვრავს. ფაქტია, რომ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო მშობლები ვერ ახერხებენ სასკოლო ცხოვრებაში თანამონაწილეობას, შესაბამისად, კრიზისის პერიოდში ისინი არ იყვნენ იმ უნარებით აღჭურვილნი, რომელიც მათ შვილებს სტრესულ სიტუაციასთან გამკლავებასა და პარალელურად ცოდნის ხარისხიანი მიღების ხელშეწყობაში დაეხმარებოდათ.

### 3.3 განათლების უფლების ხელმისაწვდომობა საქართველოში ლელა გვიშიანი

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ცხოვრებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დაწყებითი და საშუალო განათლების ხარისხი და მასზე თანაბარი წვდომა მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანების მომავალს და გარდამტეხ როლს ასრულებს სოციალური უთანასწორობის შემცირების გზაზე. ხარისხიანი განათლება განსაზღვრავს პიროვნების თანაბარ ჩართულობას სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ამცირებს სოციალური ექსკლუზიის რისკებს, ეს უკანასკნელი კი არსებითად დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან განათლების

უფლების სათანადო აღსრულების საკითხთან.<sup>27</sup> განათლების უფლება წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, რომ სოციალური უფლებების სათანადო რეალიზება არსებითად დაკავშირებულია საჯარო სიკეთების ხელმისაწვდომობასთან და მისით სარგებლობა საყოველთაო საზოგადო სიკეთის მომტანია.

არაერთი საერთაშორისო აქტი განამტკიცებს სახელმწიფოთა ვალდებულებას უზრუნველყოს უწყვეტი და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა მთელი სიცოცხლის მანძილზე: "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" ექსპლიციტურად უთითებს ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე ჰქონდეს წვდომა განათლებაზე და მის საყოველთაო ბუნებაზე, რომელიც უნდა იყოს მიმართული პიროვნების განვითარებისაკენ,<sup>28</sup> "სოციალური უფლებების ქარტია" ბავშვთა განათლებისა და მასზე ხელმისაწვდომობის უფლებას მოიაზრებს ბავშვთა და ახალგაზრდების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის, ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის მნიშვნელოვან ასპექტად,<sup>29</sup> ბავშვთა უფლებების კონვენცია ხაზს უსვამს ბავშვის ხარისხიან განათლებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.<sup>30</sup> "ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" პაქტით განათლების უფლება განხილულია როგორც აღმჭურავი და გამაძლიერებელი უფლებად, რამდენადაც იგი წარმოადგენს უპირველეს საშუალებას, რომლითაც ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალიზებულ მოზარდებსა და ბავშვებს შეუძლიათ სიღარიბისაგან თავის დაღწევა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა. ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, ხარისხიანი განათლებაზე ხელმისაწვდომობა გულისხმობს სახელმწიფოთა ვალდებულებას შექმნას მისაწვდომი, მორგებული, თანასწორი, გონივრული განათლების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.<sup>31</sup>

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტი განათლების ხელმისაწვდომობის, მისი თავისუფლად არჩევისა და მიღების უფლებას ადამიანის ძირითადი უფლების ჩარჩოში განიხილავს.<sup>32</sup> საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და ბავშვის უფლებების კოდექსი არაერთ მუხლში ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების სისტემა, თითოეული მოსწავლი-

სათვის ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სადაც გათვალისწინებული იქნება ტერიტორიული ხელმისაწვდომობის ფაქტორი, საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების გაუმჯობესება, უსაფრთხო სასწავლო გარემო და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა.<sup>33</sup>

სასკოლო განათლების სისტემა საქართველოში არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. გაუმართავი საგანმანათლებლო პროცესის, არასათანადო ინფრასტრუქტურის, სანიტარიისა და სასმელი წყლის პრობლემები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის არაინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი და გარემო<sup>34</sup> მასწავლებელთა შრომითი უფლებების მასშტაბური დარღვევა ამგვარ პრობლემურ საკითხთა მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.<sup>35</sup> განათლების სისტემაში არსებული პრობლემები აისახება განათლების ხარისხზე და ბავშვების ზოგად მოსწრებაზე.<sup>36</sup> ამასთან, განათლების პოლიტიკაზე საუბრისას, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ბავშვთა შრომის, ბავშვთა სიღარიბის, ნაადრევი ქორწინებითა და სხვა მიზეზებით სკოლის მიტოვებისა თუ განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების პრობლემები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სრულად აღმოფხვრილი არ არის.<sup>37</sup>

საქართველოს ისედაც უამრავი გამოწვევის წინაშე მყოფი განათლების სისტემა, პანდემიამ სრულიად ახალი და მასშტაბური პრობლემების წინაშე დააყენა. პანდემიამ ცხადი გახადა, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნაწილისათვის გადაუღალავ დაბრკოლებას წარმოადგენდა დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვისათვის აუცილებელი ტექნიკა და ინტერნეტი. ონლაინ სწავლების დროს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გლობალურობის გამო, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა სახელმწიფოებს მოუწოდა მაქსიმალური ძალისხმევის მიმართვისაკენ იმ ბავშვებისკენ, რომელთაც შეზღუდული წვდომა გააჩნიათ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე, რათა მაქსიმალურად შეეცდნენ უზრუნველყონ არსებული უთანასწორობის გადრმავევა.<sup>38</sup>

27 L., Jootaek., 'The Human Right to Education: Definition, Research and Annotated Bibliography', Emory International Law Review, 2020, pp.750-752.  
 28 Universal Declaration of Human Rights, Art.26, available at: <https://bit.ly/3enQsPI>  
 29 ევროპის სოციალური ქარტია, საქართველოსთვის ძალაში შევიდა 01/10/2005. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0>, ბოლოს ნანახია: 08.09.2021.  
 30 Convention on the Rights of the Child, article 28, available at: <https://bit.ly/2i1LpFc>  
 31 General Comment No. 13: The right to education (article 13) (1999), available at: <https://bit.ly/3OorYK1>  
 32 Constitution of Georgia, Art. 27. Available at: <https://bit.ly/3KJufR2>

33 The Law of Georgia on General Education, Article 7, available at: <https://bit.ly/3QitiH8>  
 34 See 'Preliminary Results of Monitoring the Implementation of Human Rights Strategies and Action Plans - Children's Rights, Disability Rights, Gender Equality and Women's Rights, EMC, PHR, Sapari 2018, available at: <https://bit.ly/3A5yWVN>  
 35 See the 2018 report of the Public Defender of Georgia on the state of protection of human rights and freedoms in the country, p. 250-252, 2019; 'Access to Water and Sanitation in Georgian Public Schools', Public Defender of Georgia, 2018.  
 36 Note: According to PISA results, Georgian students lag significantly behind the Organization for Economic Co-operation and Development (OECD) average. 'OECD's Programme for International Student Assessment', available at: <https://bit.ly/3A6F7sN>  
 37 Report of the Public Defender of Georgia on the state of protection of human rights and freedoms in the country in 2019, p. 328-329.  
 38 The Committee on the Rights of the Child warns of the grave physical, emotional and psychological effect of the COVID-19 pandemic on children and calls on States to protect the rights of children; 8 April 2020, available at: <https://bit.ly/3Baph3p>

2020 წლის მონაცემებით, 600 000 სკოლის მოსწავლე განათლებას დისტანციურად იღებდა. ინტერნეტის დაფარვის ფარგლების გათვალისწინებით, კვლევებმა აჩვენა, რომ პანდემიისას სასკოლო ასაკის 15%-ს არ ჰქონდათ წვდომა სასკოლო რესურსებზე. ამას ემატება ისიც, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, კომპიუტერისა და სხვა მსგავსი მოწყობილობის ქონის შემთხვევაში სოციალური დახმარების შეწყვეტის რისკებს წარმოშობდა.<sup>39</sup> ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტ რესურსსა და საჭირო ტექნიკაზე წვდომის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი პრობლემა მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების, სოფლად მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში იყო.<sup>40</sup> ამასთან, 2021 წლის დასაწყისში არსებობდა მოლოდინი, რომ ციფრული და დისტანციური სწავლების პირობებში არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა და დაახლოებით 50 000 ბავშვი ვერ შეძლებდა განათლების პროცესში ჩართვას.<sup>41</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს გარკვეული ღონისძიებები გატარდა სახელმწიფოს მხრიდან დისტანციური სწავლების პროცესის წარმართვისათვის - შექმნა ელექტრონული ბიბლიოთეკა და ელექტრონული პორტალები, სადაც განთავსდა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინსტრუქციები და თემატური რესურსები საჯარო სკოლებისთვის, გაკეთდა 'ტელესკოლა', მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც, აღნიშნული ღონისძიებები ვერ იქნება მიჩნეული განათლების უფლების სათანადო რეალიზებად, რამდენადაც ამ პროცესმა მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვლადი ჯგუფებისა განათლების ხელმისაწვდომობის მიღმა დატოვა.

მიუხედავად შეფასებებისა და კვლევითი მონაცემების სიმწირისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში დისტანციური სწავლება მნიშვნელოვანი გამოწვევებით წარიმართა და ამ პროცესის თანმდევი სირთულეებმა სრულად გააშიშვლა ქვეყანაში არსებული უთანასწორობისა და სოციალური ბარიერებით გამოწვეული პრობლემები. სახელმწიფომ არათუ სრულყოფილად ვერ გაართვა თავი დისტანციური სწავლების პროცესის სრულყოფილ და თანაბარ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით სოციალურად მოწყვლადი, მრავალშვილიანი და ღარიბი, სოფლად მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში, არამედ რისკის ქვეშ დააყენა ბავშვებისათვის ხარისხიანი განათლების უწყვეტი მიწოდების საკითხი და მათი სრულყოფილი ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში.

39 The Digital Divide: How the Pandemic Has Exposed Inequalities in the Georgian Education System', 29/04/2021, available at: <https://bit.ly/3C2Obja>

40 "What should we consider for the 2020-2021 academic year. Recommendations of the Ministry of Education, Science, Culture and Sports ", Education Coalition, EFA, 2020, p.5, available at <https://bit.ly/3z0gpcC>

41 School reopening must be prioritized in lifting the restrictions, UNICEF says', 01.02.2021, available at: <https://uni.cf/3l7Ej0A>



## გამოყენებული ლიტერატურა

- Belot, M., & James, J. (2011). Healthy school meals and educational outcomes. *Journal of Health Economics*, 30(3), 489–504. <https://doi.org/10.1016/j.jhealeco.2011.02.003>
- Biagi, F., & Loi, M. (2013). Measuring ICT Use and Learning Outcomes: evidence from recent econometric studies. *European Journal of Education*, 48(1), 28–42. <https://doi.org/10.1111/ejed.12016>
- Brunello, G., Weber, G., & Weiss, C. T. (2016). Books are Forever: Early Life Conditions, Education and Lifetime Earnings in Europe. *The Economic Journal*, 127(600), 271–296. <https://doi.org/10.1111/eoj.12307>
- Durkheim, E., Halls, W. D., & Coser, L. (1984). *The Division of Labour in Society*. Palgrave MacMillan Ltd.
- Florence, M. D., Asbridge, M., & Veugelers, P. J. (2008). Diet Quality and Academic Performance. *Journal of School Health*, 78(4), 209–215. <https://doi.org/10.1111/j.1746-1561.2008.00288.x>
- Georgian Trade Unions Confederation, Chanturidze, G., & Surmava, T. (2021, July). პანდემიის გავლენა მრომის ბაზარზე და დასაქმებულთა მდგომარეობაზე. *Georgian Trade Unions Confederation*. <http://ewmi-prolog.org/images/files/8832GTUCReportGEO.pdf>
- Government of Georgia (2004, October 18). საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ. *Matsne.Gov.Ge*. Retrieved September 3, 2022, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>
- Government of Georgia (2020) COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. [https://www.gov.ge/files/76338\\_76338\\_444796\\_COVID-19angarishi.pdf](https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi.pdf)
- Government of Georgia (2020, June 26). საქართველოს მთავრობის დადგენილება №390 „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“. *Matsne.Gov.Ge*. Retrieved September 3, 2022, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0>
- Institute for Development of Freedom of Information (2020, January) Internet Usage and Accessibility Tendencies in Georgia. <https://idfi.ge/public/upload/Covid/Internet-use-and-accessibility-tendencies-in-Georgia-ENG.pdf>
- Luu, K., & Freeman, J. G. (2011). An analysis of the relationship between information and communication technology (ICT) and scientific literacy in Canada and Australia. *Computers & Education*, 56(4), 1072–1082. <https://doi.org/10.1016/j.compedu.2010.11.008>
- Ministry of Education and Science of Georgia (2021, January 15). საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები შეღავათიანი ინტერნეტ პაკეტით ისარგებლებენ. *Mes.Gov.Ge*. Retrieved September 3, 2022, from <https://mes.gov.ge/content.php?id=11498&lang=eng>
- Ministry of Education and Science, Culture and Sport of Georgia (2020) Pandemic and General Education in Georgia. [https://mes.gov.ge/mesgifs/1609844890\\_2020-Annual-report-ENG.pdf](https://mes.gov.ge/mesgifs/1609844890_2020-Annual-report-ENG.pdf)
- Moore, R. (2004). *Education and Society: Issues and Explanations in the Sociology of Education* (1st ed.). Polity.
- National Statistics Office of Georgia (2020) General Education. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/59/general-education>
- National Statistics Office of Georgia (2020) Employment and Unemployment in Georgia. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/employment-unemployment>
- National Statistics Office of Georgia (2020) Employment and Wages in Georgia. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/39/wages>
- NDI (2021, February). Public Attitudes in Georgia Results of February 2021 telephone survey. Georgia | National Democratic Institute. [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_Public%20Poll%20February%202021\\_ENG\\_Final.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Poll%20February%202021_ENG_Final.pdf)
- OECD (2019) OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Georgia. <https://www.oecd-ilibrary.org/sites/bbc437ae-en/index.html?itemId=/content/component/bbc437ae-en>
- Parliament of Georgia (2021). Law of Georgia on General Education. *Matsne.Gov.Ge*. Retrieved September 3, 2022, from <https://matsne.gov.ge/en/document/view/29248?publication=68>
- OXFAM (2019, September) The Power of Education to Fight Inequality. [https://www-cdn.oxfam.org/s3fs-public/file\\_attachments/bp-education-inequality-170919-summ-en.pdf](https://www-cdn.oxfam.org/s3fs-public/file_attachments/bp-education-inequality-170919-summ-en.pdf)
- Samokhin, I., & Kogut, I. (2017, January 17) Social and economic factors contributing to inequality in test results. *Cedos*. Retrieved September 3, 2022, from <https://cedos.org.ua/en/researches/sotsialno-ekonomichni-faktory-u-nerivnosti-rezultativ-navchannia-u-serednii-shkoli/>
- School Nutrition Association (n.d.) School meal Statistics. Retrieved September 3, 2022, from <https://schoolnutrition.org/about-school-meals/school-meal-statistics/>
- Shippen, N. (2014) *Decolonizing Time: Work, Leisure, and Freedom* (Critical Political Theory and Radical Practice) (2014th ed.). Palgrave Macmillan.
- Sikora, J., Evans, M., & Kelley, J. (2019) Scholarly culture: How books in adolescence enhance adult literacy, numeracy and technology skills in 31 societies. *Social Science Research*, 77, 1–15. <https://doi.org/10.1016/j.ssresearch.2018.10.003>
- State Audit Office of Georgia (2021, March) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017–2019 წლების ეფექტიანობის ანგარიში. *sao.ge*. <https://sao.ge/Uploads/2021/4/მასწავლებელთა%20პროფესიული%20განვითარების%202017%20-%202019%20წლების%20ეფექტიანობის%20აუ.pdf>
- School of Education Online Programs (2020, December 15) Understanding the Digital Divide in Education. Retrieved September 3, 2022, from <https://soeonline.american.edu/blog/digital-divide-in-education>
- UNICEF (2018) The Wellbeing of Children and their Families in Georgia - Fifth Stage - 2017 Welfare Monitoring Survey. <https://www.unicef.org/georgia/reports/wellbeing-children-and-their-families-georgia-fifth-stage-20>
- World Health Organization (2020, March 11) WHO Director-General's opening remarks at the media briefing on COVID-19 - 11 March 2020. Retrieved September 3, 2022, from <https://www.who.int/director-general/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19--11-march-2020>
- გაეროს ბავშვთა ფონდი (2014) საქართველოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღწერის მონაცემები დაწყებით განათლებასა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით. <https://www.unicef.org/georgia/media/2051/file/საქართველოს%20სკოლამდელი%20აღზრდის%20დაწესებულებათა%20აღწერის%20მონაცემები.pdf>
- ჭანტურია გ., ქადაგიძე მ., & მელიქაძე გ. (2020) სასკოლო განათლების ისტორია 1990–2020. <http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2021/06/განათლების-ისტორია.pdf?fbclid=IwAR3NqfhyWIH2F-ZKD9BEHCvO-20v7e9T0d3ZfaL9L0FnHjyQ3R6gP5xZCA>

## ავტორების შესახებ

**ქეთი სართანია** სოციოლოგი, მკვლევარი.

**თორნიკე შვარცნაძე** მასწავლებელი.

## იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი  
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1  
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:  
მარსელ როთიგი | სამხრეთ კავკასიის  
რეგიონული ოფისის დირექტორი  
ტელ.: +995 32 225 07 28  
<http://southcaucasus.fes.de/>

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:  
[georgia@fes.de](mailto:georgia@fes.de)

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული  
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის  
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

## განათლება ნებისმიერ ფასად

დისტანციური სწავლება: პანდემიის დროს მიღებული გამოცდილება საქართველოში



პრობლემას წარმოადგენდა განათლების სამინისტროს (MES) ოფიციალურ სასწავლო გეგმაზე, ასევე Microsoft Teams-ზე წვდომა, რადგან ზოგიერთი მოსწავლის მოწყობილობას არ ჰქონდა ამ პლატფორმების მხარდაჭერა. გარდა ამისა, საჭირო იყო დიდი მოცულობის ინტერნეტი, რაც დამატებით ფინანსებს უკავშირდებოდა.



ზოგიერთ შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოებებმა და მასწავლებლებმა, ძირითადად საკუთარ ფინანსური რესურსებისა და თავისუფალი დროის ხარჯზე, მოახდინეს რესურსების მობილიზება, რათა მიეწოდებინათ მობილური ინტერნეტი დაბალშემოსავლიანი ოჯახების მოსწავლეებისთვის.



ზოგადად, სკოლა ასრულებს მაკომპენსირებელ როლს და, განათლების უზრუნველყოფის გარდა, აკმაყოფილებს მოსწავლეთა კეთილდღეობის ძირითად საჭიროებებს. პანდემიის დროს შეზღუდული მობილობისა და იზოლაციის გამო, მეტისმეტად შემცირდა შესაძლებლობები მოსწავლეებისთვის. უფრო მეტიც, მშობლების გადატვირთული გრაფიკისა და ცუდი საცხოვრებელი პირობების გამო, კიდევ უფრო გაიზარდა სკოლისა და მასწავლებლების როლი სასწავლო პროცესში.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:  
<https://southcaucasus.fes.de/>